სამშობლოს, პარტიას, მშვიდობას

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979
წელი
ორშაბათი
5
მარტი
№ 55
(17400)
□
ფასი
2 კაპ.

საარჩევნო ნობათები

ჩემი რესპუბლიკა: **კეთილი საქმენი**

● თბილისი. საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ ოთხასზე მეტმა მუშამ უპატაკა სამშობლოს პირველი კვარტალის გეგმის შესრულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის. სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია ამწყობ ზეინკალთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. რუბაშვილი ხელმძღვანელობს.

● ჭიათურა. საუკეთესო შედეგს მიაღწია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში „საქმანგანუმის“ ტრესტის „ჭიათურმანგანუმის“ სამმართველოს კოლექტივმა. აქ მომუშავე გვირაბგამყვანთა კომპლექსური ბრიგადების თითქმის მესამედმა შეასრულა 4 მარტისათვის პირველი კვარტალის გეგმა.

● ტყიბული. ორჯონიკიძის შახტის მოწინავე კოლექტივმა წლის დამდეგიდან მომხმარებელს რამდენიმე სარკინიგზო ეშელონი ქვანახშირი გაუგზავნა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგად, წინათ ჩამორჩენილი უბნები და ცვლები მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ.

● მარნეული. „მარნეულმშენის“ სამმართველოს კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის შეასრულა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა. ხუთწლედის დამდეგიდან დღემდე მარნეულელებმა ორჯერ მეტი სახსრები აითვისეს, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოებისათვის.

ერთსულოვნად მისცეს ხმა საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა

საბჭოთა დემოკრატიის ჭეშმარიტი ზეიმი

გუშინდელი დღე, 1979 წლის 4 მარტი, ამიერიდან ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შევიდა, როგორც საბჭოთა დემოკრატიული სისტემის გამარჯვების კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტი.

ჩვენი რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს საარჩევნო უბნებში ხალხის ნაკადმა ადრე დილიდან იწყო დენა და უკვე რამდენიმე საათის შემდეგ ამომრჩეველთა დიდმა უმრავლესობამ ერთსულოვნად მისცა ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს. ეს იყო დემოკრატიის ჭეშმარიტი ზეიმი, რომელმაც გვიჩვენა საბჭოთა ადამიანების მჭიდრო დარაზმულობა მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო.

საარჩევნო კამპანიის დროს ნათლად გამოვლინდა, რომ საბჭოთა ადამიანები მზად არიან მხარი დაუჭირონ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ყოველ პოლიტიკურ აქციას. საარჩევნო კამპანიამ კიდევ უფრო აამაღლა ხალხის პოლიტიკური აქტიურობა, ბიძგი მისცა შრომითი წარმატებების მოპოვებისათვის ფართო მოძრაობის გაშლას. ამიტომაც ხმის მისაცემად უკვე პირნათელნი და ვალმოხდილნი მოვიდნენ ჩვენი სახელოვანი მუშები და კოლმეურნე გლეხები, ჩვენი შრომისმოყვარე ინტელიგენციის წარმომადგენლები. შრომითი ნობათები, რომლებიც ამ დღეს მიუძღვნეს, მართლაც რომ სრულფასოვნად გამოხატავდა მათ განწყობილებას ამ დიდი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური აქტისადმი.

არ შეიძლება ამჯერადაც არ აღვნიშნოთ ის მიღწევები, რომლებიც ბოლო სამეურნეო წლის მანძილზე მოიპოვეს რესპუბლიკის მშრომელებმა.

1978 წელს სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა გეგმით გათვალისწინებული 7,1 პროცენტის ნაცვლად 7,4 პროცენტი შეადგინა. 1977 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 537 მილიონი მანეთით. რესპუბლიკის დიდი აღმშენებლობითი გაქანების ძალა იგრძნობოდა ბოლო პერიოდის ისეთ თვალსაჩინო მიღწევებში, როგორიც არის ენგურჰესის სამი მძლავრი აგრეგატის ამუშავება, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ახალი სიმძლავრეებისა და ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა და ა. შ.

მეტად გულგასახარი წარმატებები გვაქვს სოფლის მეურნეობის დარგშიც. მევენახეებმა პირველად საქართველოს ისტორიაში სახელმწიფო მარანში მიიტანეს 574,4 ათასი ტონა ყურძენი, ხოლო ქართველი მეჩაიეები 430,3 ათასი ტონა ჩაის სარეკორდო მოსავლით უკვე გასცდნენ ხუთწლედის მიჯნებს.

ერთი საგულისხმო ფაქტიც — 1978 წელს რესპუბლიკაში ერთ მოსახლეზე წარმოებულია 20 პროცენტით მეტი ეროვნული შემოსავალი ვიდრე 1975 წელს.

ამ საქმეთა ჭეშმარიტად ლოგიკური გაგრძელება იყო საარჩევნო კამპანიის დროს ჩვენს სამრეწველო საწარმოებში და სამშენებლო ობიექტებზე, ჩვენს საკოლმეურნეო მინდვრებსა და ფერმებში გაჩაღებული დიდი პატრიოტული მოძრაობა არჩევნების დღის ღირსეულად შეხვედრისათვის. ამით მყარი საფუძველი ჩაეყარა ხუთწლედის მეოთხე წელს, რომელიც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი უნდა გახდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე.

ამ ორი დღის წინათ ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას კავშირის საბჭოს არჩევნების ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურმა ჯეროვნად შეაფასა პარტიისა და ხალხის მტკიცე ერთიანობის მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ „ხალხის მიერ ჩვენი ლენინური პარტიის პოლიტიკური კურსის ერთსულოვანი, მტკიცე მხარდაჭერა წინსვლის საიმედო საძირკველია, იმის საწინდარია, რომ დასახული გეგმები განხორციელდება. ეს გეგმები განხორციელდება პარტიის ნებით, საბჭოთა ადამიანების გარჯით, მათივე კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის“.

დიახ, მუდამ ასე იყო და ასე იქნება. სწორედ პარტიის ნებით, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, მკვლავმოუღლელი ადამიანების თავდადებითა და ენთუზიაზმით ჩვენი ქვეყანა არნახულ წარმატებებს აღწევს წლიდან წლამდე, არჩევნებიდან არჩევნებამდე. ეს ადამიანები ტეხენ ყამირს, ქმნიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვეს, საკუთარი ხელით აშენებენ კოსმოსურ ხომალდებს, ელმავლებსა და თვითმფრინავებს, თვალდაუდგამ ტაიგაში გაჰყავთ გზები, მიწის გულიდან ამოაქვთ ქვანახშირი, გეზს უცვლიან მთის ბობოქარ მდინარეებს და სინათლისა და ხალხის სამსახურში აყენებენ მათ.

საბჭოთა ადამიანთა ამ შესანიშნავ პლეადას ამშვენებენ საქართველოს მშრომელები, ისეთები, როგორიც არიან გიორგი კურტანიძე, ოთარ ლომიძე, ყაზბეგ ქელეხსაევი, თეიმურაზ შოშიაშვილი, ტრისტან ქართველიშვილი, ანატოლი აჟიბა, ვალერიან მეუნარგია, მზევინარ ანანიძე, გივი წითლიძე და მრავალი სხვა.

ასევე სიამაყით შეგვიძლია მოგითხროთ ჩვენს სახელოვან მეცნიერებზე, მწერლებზე, ხელოვნების მუშაკებზე.

ურყევი და შეუვალია ხალხის ლოგიკა, მტკიცეა მისი ნება. ამ ლოგიკითა და ნებით აირჩიეს სწორედ გუშინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად ეს სახელგანთქმული ადამიანები, ხალხი კი თავისი რიგებიდან წარმოაჩენს სწორედ იმას, ვინც ღირსია ადამიანთა დიდი ნდობისა, ვისაც ძალუძს ერთგულად და თავდადებით იდგეს სამშობლოს სამსახურში.

ეს ნდობა დიდი ამოცანების წინაშე აყენებს ახლა ხალხის რჩეულთ. ხალხის ფიქრი მათ ფიქრად უნდა იქცეს, სამშობლოს სატკივარი — მათ სატკივრად.

ნიადაგ ზრუნვა ხალხისათვის, მისი კეთილდღეობისათვის — ასეთი იყო და არის ამომრჩეველთა განაწესი.

და დეპუტატი — ხალხის რჩეული და მსახური — მოვალეა განუხრელად შეასრულოს ხალხისა და დროის ეს უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

დღეს, 4 მარტს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს ჩვენ, „სალუტ-6“-„სოიუზ-32“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის მეთაური ვლადიმერ ათანასეს ძე ლიახოვი და ბორტინჟინერი ვალერი ვიქტორის ძე რიუმინი, მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობით მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ხმას ვაძლევთ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს, ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ვახორციელებთ რა კოსმოსურ ფრენას, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ვთხოვთ ჩვენი ხმა შეუერთოს იმათ, ვინც ხმას აძლევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომელიც კენჭს იყრის კავშირის საბჭოს არჩევნების ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქში.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ვთხოვთ აგრეთვე მიიჩნიოს, რომ ჩვენ ხმა მივეცით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინს, რომელიც კენჭს იყრის ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მოსკოვის საქალაქო საარჩევნო ოლქში.

„სალუტ-6“-„სოიუზ-32“ ორბიტული კომპლექსის მეთაური
ვ. ა. ლიახოვი;

„სალუტ-6“-„სოიუზ-32“ ორბიტული კომპლექსის ბორტინჟინერი ვ. ვ. რიუმინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

კვირას, 1979 წლის 4 მარტს, გაიმართა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

ამავე დღეს მოსკოვში, კავშირების სახლში, მოეწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელზეც განიხილეს ჩვენს ქვეყანაში გამართული კენჭისყრის მიმდინარეობის საკითხი.

არჩევნები საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ადგილობრივი დროით დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული მონაცემების თანახმად, დღის 12 საათისათვის ხმა მიცემული ჰქონდა ამომრჩეველთა 88,20 პროცენტს, ხოლო საღამოს 6 საათისათვის — 99,58 პროცენტს, საღამოს 6 საათისათვის კენჭისყრაში მონაწილეობა მიღებული ჰქონდა: რუსეთის სფს რესპუბლიკაში — ამომრჩეველთა 99,34 პროცენტს, უკრაინის სს რესპუბლიკაში — 99,91 პროცენტს, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — 99,81 პროცენტს, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — 99,99 პროცენტს, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში — 99,89 პროცენტს, საქართველოს სს რესპუბლიკაში — 99,85 პროცენტს, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში — 99,99 პროცენტს, ლიტვის სს რესპუბლიკაში — 99,86 პროცენტს, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში — 99,52 პროცენტს, ლატვიის სს რესპუბლიკაში — 99,51 პროცენტს, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში — 99,94 პროცენტს, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში — 99,68 პროცენტს, სომხეთის სს რესპუბლიკაში — 99,78 პროცენტს, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში — 99,72 პროცენტს, ესტონეთის სს რესპუბლიკაში — 99,77 პროცენტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ყველგან ორგანიზებულად, ამომრჩეველთა მაღალი პოლიტიკური აქტიურობის ვითარებაში მიმდინარეობდა. არჩევნებმა ცხადყო პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვება. (საკდესი).

საქართველოს მშრომელთა ხმა

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წინასაარჩევნო სიტყვის გამო

საქართველოს მშრომელები უდიდესი აღმავლობით შეხვდნენ სიტყვას, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე.

მიტინგების ყველა მონაწილენი მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის მოთხოვნას, რომ ჩინეთმა გაიყვანოს მთელი თავისი ჯარები ვიეტნამიდან, შეწყდეს პეკინელ მილიტარისტთა აგრესია სამხრეთ-აღმოსავლეთ ვიეტნამში.

ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის მინის ტარის ქარხანაში უდიდესი აღმავლობა გამოიწვია სიტყვამ, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე. ამასთან დაკავშირებით აქ ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა.

მიტინგის გახსნისას საწარმოს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა გ. ჭეიშვილმა თქვა:

— როცა ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვას ეცნობი, ერთხელ კიდევ რწმუნდები, თუ რაოდენ ბევრი რამ გაკეთებულა ჩვენს ქვეყანაში სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ამ გამოსვლის თითოეული სიტყვა გამსჭვალულია საბჭოთა ადამიანისათვის ზრუნვით.

თავიანთი ამხანაგების გამოსვლებს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ეკონომისტმა ა. ეგიაზაროვამ, ტექნოლოგმა ი. კერესელიძემ და მიტინგის სხვა მონაწილეებმა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში გაიმართა მეტალურგთა ხალხმრავალი მიტინგი.

მიტინგის გახსნისას ქარხნის პარტკომის მდივანმა კ. ბაქრაძემ თქვა:

— ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ღრმა შინაარსიანი სიტყვა ფრთას გვასხამს ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის. ლეონიდ ილიას ძემ კვლავ ხაზი გაუსვა, რომ მთავარია წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლება, ამას ჩვენ საბრძოლო პროგრამად მივიჩნევთ.

მიტინგზე გამოსვლისას მარტენის საამქროს მეფოლადემ ა. შანიძემ, სორტსაგლინავი საამქროს ოპერატორმა ვ. კირვალიძემ, ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ შ. ბარბაქაძემ, და სხვებმა აღნიშნეს, რომ ისინი მხურვალედ იწონებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

მიტინგზე გამოსულმა ყველა ორატორმა გულისწყრომით დაგმო ჩინეთის აგრესია გმირი ვიეტნამის წინააღმდეგ, მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს სისხლისღვრა.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. (საქინფორმი).

მოსკოვი, 4 მარტი

დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქში

გაზაფხულის დილა გაუთენდა მოსკოვს, საბჭოეთის დედაქალაქს, კეთილი ნების ადამიანებს.

საზეიმო განწყობილებით მივიდნენ 4 მარტს საარჩევნო უბნებში დედაქალაქის მცხოვრებლები და სტუმრები, რომ მოიხადონ მაღალი მოქალაქეობრივი ვალი.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე, მაღალი შეფასება მისცა მოსკოველთა შრომითსა და პოლიტიკურ აქტიურობას.

დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქი. აქ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოში კენჭს იყრის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

№ 31 საარჩევნო უბანში გამოსათვლელ-საანალიზო მანქანების ქარხნის მუშამ ვ. ი. ტუგინმა და მისმა ცოლმა ანა ივანეს ასულმა ერთ-ერთმა პირველმა მისცეს ხმა.

— დიდი პატივი გვხვდა წილად, — თქვა მუშამ, — ხმა მივცეთ პარტიისა და ხალხის ერთგულ შვილს, უდრეკ მარქსისტ-ლენინელს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. უდიდესი, წარუშლელი შთაბეჭდილება მოხადინა ჩვენზე კრემლის ყრილობათა სასახლეში ამხანაგ ბრეჟნევის წინასაარჩევნო სიტყვამ. ამ სიტყვამ მთელ მსოფლიოს კვლავ დაანახვა საბჭოთა ადამიანების საქმეთა მთელი სიდიადე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს მრავალმხრივი ნაყოფიერი საქმიანობა.

ამ სადღესასწაულო დღეს ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ ყოველივე სანუკვარს — იმას, რაც მათ ახარებთ და აღელვებთ. აი რა თქვა 325-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. ნ. სოკოლოვამ რომელმაც ხმა მისცა ბაუმანის ოლქის № 33 საარჩევნო უბანში:

ქვეყნის, თავისი ბედის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონის გრძნობა, რაც სოციალიზმმა შვა, შთააგონებს ჩვენს ხალხს. აღმშენებლობით შემოქმედებით შრომაში, რომელიც გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით, ყალიბდება საბჭოთა ადამიანების მაღალი სულიერი თვისებები. თითოეული საბჭოთა ადამიანის უდიდეს მადლიერებას იწვევს ჩვენი პარტიის თანამიმდევრული მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაუცხრომელი მოღვაწეობა ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის. (საკდესი).

ეს სურათი გადაღებულია თბილისის ლენინის რაიონის № 84/41 საარჩევნო უბანში გუშინ. ხმას აძლევს გელაშვილების შრომითი დინასტია. ისინი ყველანი თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში მუშაობენ.

სურათზე (მარცხნიდან): კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ირაკლი, ამწყობთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ამირანი, ინჟინერი ნათელა, ინჟინერ-კონსტრუქტორი, შრომის ვეტერანი გიორგი და მთავარი მექანიკოსის განყოფილების ბიუროს უფროსი, შრომის ვეტერანი ერასტი გელაშვილები.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

თბილისი, 4 მარტი

ხალხთა ძმობით ძლიერნი

რა სწრაფად ძველდება დღეს მეგზურები! სულ ცოტა ხნის წინათ, მაგალითად, მათში ჩაწერილი იყო, რომ გლდანის შემოგარენი, თბილისის შორეული გარეუბანი, დაუსახლებელი ადგილია. ახლა კი აქ სწრაფად იზრდება ქალაქში უდიდესი საცხოვრებელი მასივი, რომლის საფუძველიც შეადგინა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშენებელთა მიერ აგებულმა ხალხთა მეგობრობის უბანმა.

გლდანის მასივი ერთი მრავალთაგანი მაგალითია იმისა, თუ როგორ ისხამს ხორცს ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ლენინური იდეა. ამას აღნიშნავდნენ მისი ბევრი მცხოვრები, ორმოცზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც დილაადრიან მოვიდნენ რესპუბლიკის დედაქალაქის ყველაზე დიდ — ლენინის რაიონის საარჩევნო უბნებში, რათა ხმა მიეცათ თავიანთი რჩეულებისათვის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძისა და თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირის, სოციალისტური შრომის გმირის გ. კურტანიძისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უკანასკნელი არჩევნების შემდეგ განვლილი წლების მანძილზე გლდანის საცხოვრებელმა მასივმა შესამჩნევად გაზარდა თავისი საზღვრები. უფრო გალამაზდა და კეთილმოწყობილი გახდა. აქ აშენდა ახალი სახლები, სკოლები, მაღაზიები და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები. დაიწყო მზადება მეტროპოლიტენის ახალი ხაზების გაყვანისათვის. არჩევნების წინ მასივის ცენტრში საექსპლოატაციოდ გადაეცა სპორტული კომპლექსი, ბავშვთა ქალაქი.

— ყოველი სახლი, ყოველი საწარმო, ყოველი ახალშენება თბილისში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, — თქვა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის ამწის მემანქანემ ჯაფარ თევზაძემ, — სოციალისტური საერთო ცხოვრების თავისებური მოდელია, რომელიც ემყარება ჩვენი ქვეყნის ბევრი ერისა და ეროვნების შვილების საერთო ფიქრებსა და მისწრაფებებს. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანამიმდევრულად ახორციელებენ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. მისი შესანიშნავი შედეგი-

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის 1979 წლის 2 მარტის წინასაარჩევნო სიტყვის შესაბამისად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული და პოლიტიკურ-პროპაგანდისტული მუშაობის საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სიტყვა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტს, სადაც ღრმად და ყოველმხრივ, მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან არის გაანალიზებული ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური კურსი და პოლიტიკური ხაზი, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ ქვეყნის ეკონომიკის, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას და ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობის დამკვიდრებას, საბჭოეთის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას და მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფას.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, რომელსაც საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მხურვალე მოწონებით შეხვდნენ, — ეს არის ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციის, სამეურნეო ორგანოს, ყველა მშრომელის საბრძოლო პროგრამა ხანგრძლივი პერსპექტივისათვის.

საქართველოს სსრ მშრომელები, მისი პარტიული ორგანიზაცია ნიადაგ გრძნობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უდიდეს ზრუნვას რესპუბლიკის შემდგომი აყვავებისათვის. ამის მკაფიო გამოვლინებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებანი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების თაობაზე. თავისი გადაწყვეტილებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმი, რომელმაც საქართველოს პარტორგანიზაციას დიდი მხარდაჭერა და უდიდესი ნდობა გაუწია. ყოველივე ეს ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის აღაფრთოვანებს საქართველოს მშრომელებს, რესპუბლიკას, რომელმაც ზედიზედ მეექვსედ მოიპოვა სრულიად საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა, განუმტკიცებს მათ მისწრაფებას საქმით უპასუხონ პარტიის ზრუნვას, მოახმარონ მთელი თავიანთი ენერგია, შემოქმედება, თავდადებული შრომა მეათე ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების უცილობელ შესრულებას, ყველა მაჩვენებლის მიხედვით განაღდებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ფართოდ გაშალონ აქტიური პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რათა რესპუბლიკის თითოეულ მშრომელს განუმარტონ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის არსი და პოლიტიკური მნიშვნელობა.

ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდის და მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება, პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლებისა და მშრომელთა ეკონომიკური ვანათლების მთელი სისტემა, მთელი საგიტაციო-მასობრივი მუშაობა და ლექციური პროპაგანდა უნდა დავუქვემდებაროთ იმ ამოცანას, რომ აქტიური მონაწილეობა მივაღებინოთ თითოეულ მშრომელს საქმიანობის ყველა სფეროში მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის მიმდინარე ბრძოლაში, ჩავუნერგოთ ყოველ მოქალაქეს პარტიისა და სახელმწიფოს საქმეებში უშუალო მონაწილეობის გრძნობა, რწმენა, რომ თითოეული მშრომელის აზრსა და ხმას ყურად იღებენ და გაითვალისწინებენ დიდი თუ პატარა გადაწყვეტილების შემუშავებისას.

საჭიროა პარტიული და სახელმწიფო ორგანოების, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მეცადინეობა მოვახმაროთ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაობის სტილის შემდგომ სრულყოფას, უნარიანად განვაზოგადოთ ყოველივე საგულისხმო და მოწინავე, გადაჭრით აღვკვეთოთ ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს გვიშლიან წარმატებულ წინსვლაში, დავძლიოთ კონსერვატიზმი საქმიანობის ყველა სფეროში.

კიდევ უფრო უნდა გავააქტიუროთ უკომპრომისო ბრძოლა სოციალისტური კანონიერების დარღვევის, კრიტიკის ჩახშობის, საქმის გაჭიანურების, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ფაქტების წინააღმდეგ, მივაღწიოთ ნამდვილ საჯაროობას ამ საქმეში, მეტ ყურადღებას ადამიანთა საჭიროებებისა და მოთხოვნებისადმი.

ყველა პარტიულ ორგანიზაციაში უნდა მოეწყოს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის განხილვა და დაისახოს ამ სიტყვის დებულებებისა და დასკვნების საფუძველზე განსახორციელებელ ორგანიზაციულ, პოლიტიკურ და სამეურნეო ღონისძიებათა კონკრეტული გეგმები.

მოეწყობა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესწავლა მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში, პარტიული ორგანიზაციების მდივანთა სკოლებში, აგიტატორთა და პოლიტინფორმატორთა სემინარებზე, მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილას გამართულ კრებებზე.

პარტიულ ორგანიზაციებს, იდეოლოგიურ დაწესებულებებს, შემოქმედებითს კავშირებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ მუშაობა იდეოლოგიური კადრების იდეურ-თეორიული მომზადების მთელი სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის კომპლექსური გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ფორმალიზმის დაძლევისათვის. უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანთა აღზრდას სოციალისტური სამშობლოსათვის, მიღწეული წარმატებებისათვის სიამაყის გრძნობით, საბჭოთა ხალხის მიერ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე მოპოვებული გმირული გამარჯვებებისათვის სიამაყის სულისკვეთებით. საჭიროა საზოგადოების თითოეულ წევრს ჩავუნერგოთ ჯანსაღი გრძნობა, რომ არ დასჯერდეს ხოლმე მიღწეულს, რაც ახალი მიღწევებისა და შრომითი გამარჯვებების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი და სტიმული გახდება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდობის აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

უფრო აქტიურად და სრულად უნდა გამოვიყენოთ საბჭოთა დემოკრატიის უპირატესობანი ეკონომიკური პოტენციალის აღმავლობისათვის, არსებული რეზერვების გამოვლენისა და მაქსიმალური გამოყენების, ნაკლოვანებათა კრიტიკის, ყოველმხრივ დასაბუთებულ გადაწყვეტილებათა შემუშავებისათვის, ამასთან მუდამ უნდა გვახსოვდეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის ის დებულება, რომ „საბჭოთა დემოკრატიას შეუძლია და ცადევაც უნდა ემსახუროს უკეთ ეკონომიკურ პროგრესს, ხოლო ეკონომიკური პროგრესი იყო და არის საძირკველი, მატერიალური საფუძველი საბჭოთა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების რაც შეიძლება სრული უზრუნველყოფისათვის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი აყვავებისათვის...“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც მხურვალედ უჭერენ მხარს და იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეცნიერულად დასაბუთებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივ, მიზანსწრაფულ საქმიანობას, დიდი შრომითი წარმატებებით აღნიშნავენ ხუთწლედის მეოთხე წელს, მთელ ძალ-ღონეს მოახმარენ ახალ გამარჯვებებს ნათელი კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად. (საქინფორმი).

ჩვენდა საბედნიეროდ, საკეთილდღეოდ!

საბჭოთა ხელისუფლება ხალხის ხელისუფლებაა

ჩემი რესპუბლიკა: კეთილი საქმენი

საარჩევნო ნობათები

◆ **ბევრი** სიახლე გაჩნდა არჩევნებს შორის პერიოდში ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის № 98 მიკრორაიონში. მაგალითად, ბოგდან ხმელნიცკის, 5 დეკემბრის, კომკავშირის ქუჩებზე ბარაკების ადგილას აშენდა 9-სართულიანი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები. აქ აშენდა აგრეთვე 5 საბავშვო ბაღი, 8 სპორტული მოედანი, საცურაო აუზი. მიკრორაიონის ტერიტორიის კეთილმოწყობაში აქტიურად მონაწილეობს მოსახლეობა. მარტო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში მოეწყო ხუთი შაბათობა — დარგეს 1400 ხე და ბუჩქი, შეაკეთეს და მოაასფალტეს 16 ქუჩა და მოედანი.

მიკრორაიონს შეფობას უწევენ ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანი" და ქარხანა „მიკროძრავა".

◆ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინა დღეს ქალაქ გურჯაანში საექსპლოატაციოდ გადაეცა წყალსადენი. მოსახლეობამ დამატებით მიიღო წამში 80 ლიტრი სასმელი წყალი. წყალსადენის მშენებლობას აწარმოებდა ტრესტ „ალაზანმშენის" № 5 სამშენებლო სამმართველო (უფროსი — შ. ერჩიკი, სამუშაოთა მწარმოებელი — გ. გოჩიაშვილი).

48-ბინიან საცხოვრებელ სახლში ახალმოსახლეობა იზეიმეს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის (მმართველი — ვ. კუპრაძე) თანამშრომლებმა, სახლი ააშენა № 4 ტრესტის № 3 მოძრავმა მექანიზებულმა კოლონამ (უფროსი — ზ. ნაცვლიშვილი).

ბაკურციხის მეურნეობა-ტექნიკუმმა შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები. დამზადებულია 8,2 ტონა ხორცი, გეგმიური 8 ტონის ნაცვლად. 18,5 ტონა რძე, გეგმიური 18 ტონის ნაცვლად.

ხამტრესტის გურჯაანის სარემონტო-მექანიკური ქარხნის მღარავმა ოთარ ქუმსიაშვილმა არჩევნების დღისათვის შეასრულა პირადი ხუთწლიანი გეგმა.

◆ **ყოველდღე** შარშანდელზე 200 კილოგრამით მეტ რძეს იღებენ გარდაბნის რაიონის ულიანოვკის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეები. ეს შესაძლებელი გახდა პირუტყვის სწორი მოვლის, მისი კვების რეჟიმის დაცვის გზით. შარშან სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმა 116 პროცენტით შესრულდა. ამჟამად მეცხოველეები ყოველნაირად ცდილობენ ვადამდე შეასრულონ სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც ითვალისწინებს პირველ კვარტალში 780 ცენტნერი რძის მიღებას, რაც 15 პროცენტით აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს.

◆ **ზამთრის** საძოვრებისა და შირაქის ველის ზონებში შორეული სოფლების მცხოვრებლებისათვის ზრუნვა იკისრეს ახლახან ახმეტაში გახსნილი საყოფაცხოვრებო სახლის მოძრავმა სახელოსნოებმა. ახლა მეცხოველეები დროს აღარ კარგავენ შორს წასასვლელად — ადგილებზე სარგებლობენ თერძების, ხარაზების, პარიკმახერების, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და რადიოაპარატურის შემკეთებელი სპეციალისტების მომსახურებით.

რაიონში ფართოვდება სოფლის მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო. ახალი სახეობის მომსახურებაში შედის საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავება, სათბობით მომარაგება, სახლების მშენებლობა.

◆ **ქალაქ** წყალტუბოს ზონის მეურნეობებს შორის ბოსტნეული კულტურების თესვას პირველნი შეუდგნენ გეგუთის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები. სათბურებში უკვე დაითესა ერთ-ნახევარჯერ მეტი პამიდორი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

ბოსტნეულს გრაფიკის გასწრებით თესავენ ფარცხანაყანევის, მუხიანისა და სხვა საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები.

თბილისი, 4 მარტი

ხალხთა ძმობით ძლიერნი

(დასასრული)

ბი ცხადად შეგვიძლია დავინახოთ ჩვენი რესპუბლიკის მაგალითით — სსრ კავშირის ხალხთა ერთსულოვან ოჯახში მას ღირსეული წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობაში.

...სასიხარულო განწყობილება სუფევს 136-ე საშუალო სკოლის შენობაში განლაგებულ № 57/14 საარჩევნო უბანში. ადამიანთა საზეიმო განწყობილებას ერწყმის გაზაფხულის ყვავილები, წითელი ტრანსპარანტები. ზედიზედ მიდიან საარჩევნო ყუთებთან მუშები და მოსამსახურეები, ომისა და შრომის ვეტერანები, ქალიშვილები და ჭაბუკები — ისინი, ვინც დღეს პირველად მონაწილეობს არჩევნებში.

— როცა რადიოთი ვისმენდი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წინასაარჩევნო სიტყვას, — თქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ზაირა ხებისკვერაძემ, — გული სიხარულით მევსებოდა: რა შთამბეჭდავი, რა გრანდიოზულია ჩვენი ქვეყნის წარმატებანი. არ არის ისეთი ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც არ შეგვეძლოს, იმიტომ, რომ ჩვენი საბჭოთა ცხოვრების წესის საფუძველი გახდა ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობა და ურთიერთდახმარება, იმიტომ, რომ ვცხოვრობთ, ვსწავლობთ და ვმუშაობთ ახალი კონსტიტუციის მზის ქვეშ.

...უწყვეტ ნაკადად მიდიან ადამიანები ასევე საარჩევნო უბნისაკენ, რომლებიც დედაქალაქის ლენინის რაიონშია. უკვე ნაშუადღევისათვის 160 ათასზე მეტმა მისმა მშრომელმა მისცა ხმა ხალხის ღირსეულ კანდიდატებს ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებასა და ძლიერებას, თითოეული საბჭოთა ოჯახის ბედნიერებას.

— **სკკპ** ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე წარმოთქმულმა მკაფიო, ღრმაშინაარსიანმა სიტყვამ ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, — თქვა თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორანტმა დ. ჩხიკვიშვილმა. — ძალიან მოხარული ვარ, რომ უკვე 18 წლისა გავხდი და მომენიჭა უფლება მივცე ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქის ათი ათასობით წარმომადგენელთან ერთად ხმა მივეცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ზ. ა. პატარიძეს.

ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი განსაკუთრებულია. მის ტერიტორიაზე მდებარეობს შვიდი უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის ისეთი უდიდესი სასწავლებლები, როგორიცაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პოლიტექნიკური და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები. ამიტომ აქ ბევრი ახალგაზრდა ამომრჩეველია.

რესპუბლიკის დედაქალაქის ორჯონიკიძის რაიონის მაგალითით, რომელიც ამ ოლქში შედის, შეიძლება დავინახოთ უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში მომხდარი გარდაქმნები. აქ აღიმართა ასობით ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, აშენდა სკოლები, საავადმყოფოები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ყოველივე ეს იყო მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებისათვის, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, სამშობლოს ერთგული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგი.

როგორც თავის წინასაარჩევნო სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, როცა ჩვენი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შედეგები შეაფასა, შეიძლება გარკვეულად ითქვას, რომ ამომრჩეველთა მთავარი განაწესი შესრულებულია. და ახლა არა არის რა იმაზე დიდმნიშვნელოვანი საქმე, ვიდრე ყაირათიანად, უაღრესად რაციონალურად გამოვიყენოთ ყველა ჩვენი შესაძლებლობა და სიმდიდრე.

ახალგაზრდა ამომრჩევლებს — ქვეყნის მომავალს — კარგად აქვთ შეგნებული ეს. როცა ხმა მისცეს ხალხის კანდიდატებს, ამით ხმა მისცეს საბჭოთა სამშობლოს შემდგომ აყვავებას, მისი ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

• „კომუნისტისა" და საქინფორმის კორესპონდენტთა კოლექტიური რეპორტაჟი

ერთსულოვნად!

საარჩევნო უბნები დილის ექვს საათზე გაიღო, ხოლო სამი საათის შემდეგ მთავარ შტაბში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ საარჩევნო კომისიაში უკვე მიიღეს პირველი ცნობები. ამ დროისათვის 3.100 ათასზე მეტი ამომრჩევლიდან კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 46,9 პროცენტმა.

— მჭევრმეტყველური ციფრია, — თქვა რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარემ, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა გ. კურტანიძემ. — იგი მოწმობს, რომ ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები მიმდინარეობს მოსახლეობის მაღალი აქტიურობით. შუადღისათვის მეტწილ საარჩევნო უბნებში ხმის მიცემა ძირითადად დამთავრებული იქნება.

...შტაბში განუწყვეტლივ რეკავენ ტელეფონები. ხაზზე არიან რესპუბლიკის ქალაქები და რაიონული ცენტრები. მოახსენებს აბაშა: დილის ცხრა საათისათვის ხმა მისცა ამომრჩეველთა 86 პროცენტმა, მაღალმთიანი ცაგერი — 85,5 პროცენტმა, წალენჯიხა და ასპინძა — 81 პროცენტმა, თეთრი წყარო და ხობი — 75 პროცენტმა...

რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მოდის დეპეშები.

რესპუბლიკური კომისიის წევრები ამ დღეს მეორეჯერ აჯამებენ შედეგებს. შედეგები სასიხარულოა: საარჩევნო ყუთებთან უკვე იყო რესპუბლიკის მოზრდილი მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი. სამი საათის შემდეგ კი ხმის მიცემა საქართველოში პრაქტიკულად დამთავრებული იყო.

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებს მზიური აფხაზეთის მშრომელები ახალი შესანიშნავი მიღწევებით შეხვდნენ. ეს დღე დაემთხვა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 58-ე წლისთავს. გასული ოთხი წლის მანძილზე თვალსაჩინოდ განვითარდა ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა და კულტურა, მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

ავტონომიურ რესპუბლიკაში ძალისა და ენერგიის ახალი მოზღვავება გამოიწვია ამას წინათ მიღებულმა სასიხარულო ცნობამ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ საკავშირო გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოების შესახებ.

აფხაზეთის მშრომელები დიდი ინტერესით გაეცნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე. ამ ისტორიულ სიტყვაში კიდევ ერთხელ მკაფიოდ არის გამოხატული პარტიის დიდი ზრუნვა საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის.

და ამ დიდ ზრუნვას აფხაზეთის მშრომელები ახალი მაღალი ენთუზიაზმით უპასუხებენ. ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს პლანტაციებში, ვენახებში წარმატებით მიმდინარეობს ზამთრის და საგაზაფხულო სამუშაოები.

...გუშინ აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში დილის 6 საათზე გაიღო სადღესასწაულოდ მორთული ყველა 285 საარჩევნო უბნის კარი.

სოხუმი. შ. რუსთაველის სახელობის № 1 საშუალო სკოლა. აქ ერთ-ერთი საარჩევნო უბანი მდებარეობს. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვ. შარანგია ამომრჩევლებს იწვევს ხმის მისაცემად.

ბიულეტენები პირველმა აიღო ახალგაზრდა ამომრჩეველმა ლიანა ქეცბაიამ, რომელიც პირველად მონაწილეობს არჩევნებში.

— სულითა და გულით ვაძლევ ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა სახალხო ბლოკის კანდიდატებს, — განაცხადა მან, — დარწმუნებული ვარ, ამით ხმას ვაძლევ საბჭოთა ახალგაზრდობის ბედნიერ აწმყოს, კიდევ უფრო უკეთეს მომავალს.

ხმის მისაცემად დილაადრიან ერთ-ერთი პირველი მოვიდნენ გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში მცხოვრები სახელოვანი ადამიანები, საკოლმეურნეო შრომის ვეტერანები. საარჩევნო ყუთში ბიულეტენები რომ ჩაუშვა, 111 წლის მოხუცმა თემურ ვანაჩამ თქვა:

— განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ დეპუტატობის კანდიდატთა შორის ხმას ვაძლევთ ჩვენი კოლმეურნეობის თავკაცს, ლიხნის XXIV პარტყრილობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ხაჯიბეი აიბას. მისი წინამძღოლობით ჩვენი სოფელი მოწინავეთა რიგებში ჩადგა და დიდი გადაჭარბებით ასრულებს ყველა დავალებას.

არჩევნების დღემ დიდი ენთუზიაზმით ჩაიარა მეშახტეთა ქალაქ ტყვარჩელში, სოხუმში, გაგრაში, გუდაუთის, სოხუმის გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში.

აფხაზეთის მშრომელებთან ერთად არჩევნებში მონაწილეობა მიიღო აქ დასასვენებლად ჩამოსულმა მრავალმა დამსვენებელმა და ტურისტმა.

ბათუმი. დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ, რომელიც მან მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს წარმოთქვა.

პარტიის გენერალური ხაზით აღფრთოვანებული აჭარის მშრომელები ახალი წარმატებებით შეხვდნენ არჩევნების დღეს, საზეიმო განწყობილება სუფევს აჭარის ზღვისპირეთიდან მაღალმთიანი ხულოს რაიონის შორეულ სოფლამდე. ყველგან საგაზაფხულო შრომის ფერხულია გაჩაღებული. აჭარის მეცხოველეებმა 157 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ორი თვის გეგმა, წარმატებებია მოპოვებული სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს № 661 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანმა გული კიკნაძემ გაგვაცნო ოლქში არჩევნების მიმდინარეობის მდგომარეობა: დღის თორმეტი საათისათვის ხმა მიცემული ჰქონდა ამომრჩეველთა 80 პროცენტზე მეტს.

— პირველი ცნობა მოგვივიდა ქედის რაიონის სოფელ კოკოტაურის საარჩევნო უბნიდან, — თქვა მან, — ცხრა საათისათვის ხმა მისცა ყველა ამომრჩეველმა. ხმის მიცემა უკვე დაამთავრეს აგრეთვე შორეულ ზღვებში მყოფი „მიხა ცხაკაიას", „გენერალ ბაგრატიონისა" და სხვა ხომალდების ეკიპაჟებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების აჭარის ასსრ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ დოლიძემ გვაცნობა, რომ აჭარის ყველა საარჩევნო უბანში დღის 12 საათისათვის ხმა მიცემული ჰქონდა მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას. განსაკუთრებით იაქტიურეს ლენინის, ფრუნზეს და ტელმანის საარჩევნო უბნებმა.

მაღალი ტრადიციების მქონე აჭარის მშრომელებს შეგნებული აქვთ, რომ არჩევნებში ერთსულოვანი მონაწილეობით მათ ხმა მისცეს ჩვენი პარტიის ლენინურ პოლიტიკას, თავიანთ კეთილდღეობას, ქვეყნად მშვიდობას.

ცხინვალი. სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა სისხამ დილით მხიარულად მიაშურეს საარჩევნო უბნებისაკენ. ამ დღეს ისინი ხელდამშვენებული შეხვდნენ. თავი გამოიჩინეს ცხინვალის საწარმოთა კოლექტივებმა, გადაჭარბებით შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ორი თვის გეგმები.

განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს ელექტროვიბრაციული მანქანების, მომინანქრებული სადენების ქარხნების და სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებმა.

ქალაქის მე-19 საარჩევნო უბანში საზეიმო განწყობილება სუფევდა, ისმოდა მუსიკის ჰანგები, მხატვრული თვითმოქმედების წრეები თავიანთ შემოქმედებას უჩვენებდნენ ამომრჩევლებს. საარჩევნო უბნებში შევხვდით ვეტერან კომუნისტებს ნ. შავლოხოვს, დ. მჭედლიძეს, ნ. გაგლოევს.

— თითოეული ჩვენგანი დღეს ხმას აძლევს სამშობლოს წინსვლასა და აყვავებას, — თქვეს ვეტერანებმა, — გული გაგვიხალისა და ახალი შრომითი მიღწევებისათვის დაგვირაზმა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ, რომელიც მან ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე წარმოთქვა. მასში კიდევ ერთხელ ნათლად გამოიკვეთა პარტიისა და მთავრობის დაულალავი ზრუნვა ადამიანის კეთილდღეობისათვის, ქვეყნად მშვიდობისათვის.

— მე კარგად ვიცი, რა არის ომი, მამა სამამულო ომში დამეღუპა და არ მინდა, რომ ობლად დარჩნენ ჩემი ბავშვებიც. ამიტომ მოვითხოვთ შეწყდეს სისხლისღვრა ვიეტნამის მიწა-წყალზე, — განაცხადა ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის ზეინკალმა გიორგი ოთინაშვილმა.

დღის პირველ ნახევარში ცხინვალის საარჩევნო უბნებში ხმის მიცემა ძირითადად დამთავრდა.

არჩევნებმა ერთსულოვნებისა და დარაზმულობის ვითარებაში ჩაიარა ჯავის, კვაისის, ზნაურის, ავლევის, ლენინგორის, ცხინვალის საარჩევნო ოლქებში.

ქუთაისი. მარტს თბილი, მზიანი დღეები მოჰყვა ქუთაისში. მალე ყვავილებით შეიმოსება ქალაქის შემოგარენი, ქუჩები, მოედნები. გუშინ დილაუთენია ქალაქი მუსიკის ხმამ გააღვიძა. საარჩევნო უბნებისაკენ ახალგაზრდების გუნდები სიმღერითა და ცეკვა-თამაშით დაიძრნენ. და განა მარტო ახალგაზრდები!

წლევანდელი არჩევნები ჩვენს დიად ქვეყანაში განსაკუთრებულ ვითარებაში ეწყობა. მისი ღირსეულად შეხვედრისათვისაც შეჯიბრებამ აზღვავა ხალხის შემოქმედებითი შრომა და პოლიტიკური აქტიურობა. ქუთაისელი მშრომელები დიდი ინტერესით გაეცნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას ამომრჩეველთა შეხვედრაზე, სადაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ჩვენში ყველაფერი ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის კეთდება. სწორედ ეს არის პარტიისა და ხალხის ერთიანობის მამოძრავებელი ძალა.

...ქუთაისის სიამაყე — საავტომობილო ქარხანა, მისი დასახლება. ქარხნის შესასვლელთან ხელმარჯვნივ № 4 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის შენობა დგას. სწორედ აქედან იღებს შევსებას ეს დიდი საწარმო. აქ მდებარეობს № 32/32 საარჩევნო უბანი. დილის ექვსი საათია. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გრიგოლ ჯიშკარიანმა ხმის მისაცემად მიიწვია ამომრჩევლები, შემოსვლა ყველას ერთმა გოგონამ დაასწრო:

— წლეულს პირველად ვაძლევ ხმას, — მღელვარებით თქვა მან, — ამიტომ გთხოვთ პირველი მივიდე საარჩევნო ყუთთან. — მას გზა დაუთმეს. იგი სამედიცინო სასწავლებლის II კურსის მოსწავლე ქეთევან ესაძე აღმოჩნდა. დედამისი თურმე აქვე ქარხანაში მეაპარატედ მუშაობს, მამა კი მუსიკოსია.

მეტად ამაღელვებელი იყო ერთი შეხვედრა ამ უბანში: წესისამებრ, უბნის ტერიტორიაზე მოთავსებულ ინვალიდთა სახლში ადგილზე გზავნიან საარჩევნო ყუთს. მაგრამ პენსიონერი ინვალიდი ტატიანა ბექნაბუგოვა, რომელიც 90 წლისაა, თვითონ გამოცხადდა საარჩევნო უბანში.

— არ გაგიკვირდეთ, — თქვა მან, — ამ საზეიმო დღეს მინდოდა სახალხოდ მეთქვა მადლობა პარტიისა და მთავრობისათვის, რომლებმაც საშუალება მოგვცეს ჩვენ, ხანდაზმულ, ხეიბარ ხალხს მოხუცებულობა უზრუნველად გავატაროთ.

საარჩევნო უბანში ერთმეორის მოყოლებით შემოდიან მოწინავე ავტომშენებლები დ. მეგრელი, ჟ. კახიძე, ისინი იწონებენ პარტიისა და მთავრობის საგარეო მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, გმობენ ჩინელ აგრესორთა მოქმედებას ვიეტნამის წინააღმდეგ.

არჩევნებმა დიდი აღმავლობით ჩაიარა ქალაქის სხვა საარჩევნო უბნებშიც. პანსიონატ „ქუთაისი—წყალტუბოს" დამსვენებელმა ოდესელმა ვლადიმერ კაკტორიდმა განაცხადა:

— რამდენიმე დღეა, რაც აქ ვარ, და ეს ქალაქი მშობლიური ქალაქივით მიყვარს. ჩვენს დიად სამშობლოში, ხალხთა ინტერნაციონალური ძმობისა და მეგობრობის სამშობლოში, სადაც უნდა მოხვდეთ, ყველგან თავს შინაურად იგრძნობთ.

დღის პირველ ნახევარში საარჩევნო უბნებში ხმის მიცემა ძირითადად დამთავრდა, ამომრჩევლების 90 პროცენტმა უკვე მისცა ხმა...

ხმა მისცეს მშვიდობას, შრომას, მომავალს

თბილისი: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ორჯონიკიძის რაიონის 7/7 საარჩევნო უბანში ხმას აძლევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. კუპრაძე.

ოჩამჩირე: სოფელ ჩლოუს საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად პირველები მოვიდნენ ლაკობას სახელობის კოლმეურნეობის ვეტერანები — 95 წლის გ. ახუბა, (შუაში მარცხნიდან) და 112 წლის ა. მინჯგუა. მათთან ერთად ხმა მისცეს ახალგაზრდა ამომრჩევლებმა ჯ. ხვატლანძიამ (მარცხნივ) და თ. ჯონუამ.

ბათუმი: საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერ „აქსაიზე" დეპუტატობის კანდიდატებს ხმას აძლევენ (მარცხნიდან მარჯვნივ) მეზღვაური ა. მამეიშვილი, კაპიტნის მეოთხე მოადგილე ნ. ბასილაშვილი და კაპიტნის მეორე მოადგილე ვ. დერეგლაზოვი.

ცხინვალი: № 2 საარჩევნო უბანში ხმას აძლევენ სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები (მარცხნიდან მარჯვნივ) დ. გაბიევა, რ. ბიაზროვი, ნ. ელნინოვა და ნ. პაპუნაშვილი.

მცხეთა: სოფელ დილმის № 24-ე საარჩევნო უბანში ხმას აძლევს სოციალისტური შრომის გმირის ალექსანდრე გეგელიშვილის ოჯახი (მარჯვნიდან) ა. გეგელიშვილი, შვილი მარელო და შვილიშვილი ნინელი.

ს. კილაძის, გ. გოგოხიას („კომუნისტი"), ი. ჭოხონელიძის, ნ. ანასტასიევის, ლ. გუსევის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტო.

ოსტატი — მუშა — რჩეული

როცა გიორგი კურტანიძეზე ნარკვევის დაწერა მთხოვეს, მართალი გითხრათ, შევყოყმანდი, ძლივს გავიხსენე, ამ ბოლო დროს როდის ვიყავი ქარხანაში. ამას ჩვენი პროფესიის ადამიანების წრეში, პირდაპირ რომ ვთქვათ, „ცხოვრებიდან მოწყვეტას" ეძახიან. თუმცა საქმე მართლა აქამდე როდი იყო მისული, მაგრამ ვერც იმ ფაქტს გავექცეოდი, რომ შრომის უპირველეს და უმთავრეს საუფლოში კარგა ხანია არ შემეხედა.

და მაინც ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნისაკენ თამამად გავსწიე. ისეთი გრძნობა მიმყვებოდა, თითქოს იქ დიდი ხნის კარგი ნაცნობი მელოდებოდა. უპირველესად ვიცოდი, რომ თბილისის ამ ერთ-ერთი უდიდესი ქარხნის კოლექტივის წევრი სოციალისტური შრომის გმირია, მისი მუშური წარჩინების ამბავი ყველას კარგად მოეხსენება.

კიდევ რა ვიცოდი ჩვენი დღეების გმირის შესახებ?

თარიღებს ვერ მოგახსენებდით, მაგრამ ის კი ნაღდად მქონდა გაგონილი, ქარხანაში სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ რომ მოვიდა; რომ ორ ათეულ წელზე მეტია თავის ბრიგადასთან ერთად იღვწის ყველაზე რთულ სამუშაო უბანზე; რომ აქ, ქარხანაში, მიიღეს პარტიის რიგებში; რომ უკვე რამდენიმე ორდენის კავალერი გახლავთ; რომ ზედიზედ სამჯერ იყო არჩეული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად; რომ საქართველოს კომუნისტებმა იგი წარგზავნეს ლენინური პარტიის XXV ყრილობის დელეგატად; რომ მისმა ბრიგადამ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მისასალმებელი წერილი მიიღო...

ცხადია, ყველაზე სასიამოვნო იყო ამ ფაქტების არა უბრალოდ ცოდნა, არამედ იმის შეგნება, რომ მუშა კაცის ცხოვრება ასე ღრმად შემოდის ჩვენს ცნობიერებაში.

საამქროში შესვლისთანავე გიორგი კურტანიძე შორიდანვე ვიცანი, ჩექმებსა და შავ სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი მარჯვედ ტრიალებდა ბრიგადის წევრებთან ერთად, უზარმაზარ საყალიბე ფორმაში ხელგაწაფულად ტკეპნიდა ნაზავს, ძირითადად პნევმატიური ხელსაწყოთი მუშაობდა, მაგრამ შიგდაშიგ უბრალო ნიჩაბსა და საფხეკსაც იშველიებდა. ყოველი მისი მოძრაობა მსუბუქი, ძალდაუტანებელი ჩანდა, მაგრამ შესველებული ზურგი და შეთხელებული ტალღოვანი თმის ძირებში გამოცვარული ოფლი ადასტურებდა, რომ ჯაფა საადვილო სულაც არ იყო. საქმით გართულმა როდის, როდის ასწია თავი, როგორც კი თვალი მომკრა, მიხვდა ვინც ვიყავი, ჩემთან მოვიდა, მარჯვენა მაჯა გამომიწოდა და ბოდიშის მოხდით მთხოვა ათითხუთმეტი წუთი კიდევ დავლოდებოდი.

ჩვენი ნარკვევის გმირთან სალაპარაკოდ განმარტოება მხოლოდ შესვენებაზე მოხერხდა და პირველ რიგში ბოდიში მოვუხადე, რომ დასასვენებლად განკუთვნილ წუთებს ვართმევდი.

— არაფერია, უკვე შევეჩვიე, — ჩაიცინა გიორგიმ. ასე თავისთავად ჩამოვარდა საუბარი თემაზე, რომელიც მართალი გითხრათ, მეც მაინტერესებს. რამდენი სადისკუსიო წერილი წაგვიკითხავს იმის თაობაზე, რომ სახელგანთქმულ ადამიანებს, მათ შორის მუშებს, უამრავი დრო ერთმევათ სხვადასხვა თათბირებსა და სესიებში მონაწილეობით, პრეზიდიუმის მაგიდებთან სხდომით.

— მუშა კაცის ზედმეტად მოცდენის, კრებებზე ტარების მომხრე არც მე გახლავართ, — მიპასუხა გიორგი კურტანიძემ, — მაგრამ სულ უმისოდაც არ გამოდის... თუ ამას მოცდენა ჰქვია. მუშათა კლასის სახელმწიფოს მართვა, რამდენადაც მესმის, მუშასაც ევალება. სხვანაირად აბა როგორ! თანაც, მე თუ მკითხავთ, საქმიან შეკრებაზე ჯდომის უფლება ისეთ კაცს უნდა ჰქონდეს, რომელსაც საამისო დრო წინასწარ აქვს წაგდებული და ანაზღაურებული.

მივხვდი, სწორედ ასეთ კაცთან ექნებოდა აზრი იმაზე საუბარს, თუ როგორ, რა ვითარებაში უნდა ხდებოდეს ადამიანის შრომითი სახის ჩამოყალიბება.

— ოჯახში, ბატონო, ოჯახში! — მტკიცე, დაჯერებული ხმით წარმოთქვა ჩემმა თანამოსაუბრემ, — თუ კაცი უსაქმური, მცონარა და თაღლითია, მიზეზს სხვაგან ნუ ვეძებთ: თავი და თავი ოჯახია... შრომა იმას ერცხვინება, ვინც მისი გემო არ იცის და ხელებში სხვას შესცქერის. ასეთებს რომ ჰკითხოთ, სამშობლო ყველაფერს ურჩევნიათ, მაგრამ მისთვის ხელის განძრევაზე თავს არ იწუხებენ. ასეთებიც ოჯახებში იზრდებიან, მაგრამ საკითხავია როგორ. რაკი წელში გავიმართეთ, ზოგიერთი მშობელი ცდილობს შვილებს ყოველგვარი საზრუნავი აარიდოს, ყველაფერი მზამზარეულად მიართვას. არ ვარგა ეს, არა, დამიჯერეთ!

ის, რაც შემდეგ მოვისმინე სახელოვანი მუშისა და საზოგადო მოღვაწისაგან, გახლდათ სრული დადასტურება პატიოსანი შრომით გაკაფული ცხოვრების გზის ნაღდი სილამაზისა. საშუალო სკოლა კარგი ნიშნებით დაუმთავრებია, მაგრამ თავისთვის უფლება არ მიუცია მშობლებს ზედმეტ ტვირთად დასწოლოდა.

ერთი სიტყვით, ნამდვილი საქმის გარეშე ვეღარ გაუძლია, დაუკრავს ფეხი და ქალაქში გაჩენილა. ასე გახდა იმერეთის სოფლიდან ჩამოსული ყმაწვილი ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივის წევრი. მას შემდეგ 26 წელი გავიდა — პატიოსანი, თავდადებული შრომის, საქვეყნოდ აღიარებისა და პატივისცემის 26 წელი.

კარგი მაგალითი უკვალოდ არ იკარგება. აღიარებული ოსტატის ნაფეხურებს სხვა ბევრი კურტანიძეც გამოჰყვა მშობლიური სოფლიდან, მათ შორის ღვიძლი ძმა იური. ახლა ქარხანაში კურტანიძეები შვიდნი არიან.

გიორგი კურტანიძის ბრიგადის წევრები ხანგრძლივი საუბრით არ შემიწუხებია. არც მინდოდა მათთვისაც წამერთმია დასვენების წუთები. ისედაც ცნობილია, ყველანი საქმისადმი ერთგულად, შეწყობილად, ურთიერთგაგებით რომ მუშაობენ.

ერთმანეთს ტრამვაის გაჩერებასთან გამოვემშვიდობეთ. გიორგიმ ტრამვაის ხაზი გადაჭრა და აუჩქარებელი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას, შინისაკენ.

ილია რურუა.

შრომის შვილები

როცა კაცი გონიერია, სოფელიც ღონიერია

თოვლით დაფარულ ფერდობებს შეჰფენია ქვითკირის ოდასახლები. ეს ხელვაჩაურის რაიონის სოფელი ჩაისუბანია, მისი საზღვრები ცისკარას მთიდან ზღვამდე გრძელდება. ამასწინათ სოფელმა თავისებური ბრძოლა გადაიხადა. ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა სუსხმა სუბტროპიკულ ბაღებს საფრთხე შეუქმნა. ქალი და კაცი შვილივით ნაზარდი სუბტროპიკული ბაღების გადასარჩენად გამოვიდნენ.

ჩაისუბანი რაიონის ერთ-ერთი მდიდარი სოფელია. სამ ათეულ წელზე მეტია მას სათავეში უდგას გამოცდილი მეურნე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მამია აბაშიძე. ამ ხნის განმავლობაში სოფლის ორთავე სექტორის შემოსავალმა 15 მილიონ მანეთს მიაღწია. ამ სიმდიდრეზე წინათ გლეხს ოცნებაც არ შეეძლო.

სასიამოვნოა შრომაში გამარჯვებულ ადამიანებთან შეხვედრა. ოცდაათამდე კოლმეურნე კლუბ-კანტორასთან შეკრებილიყო, დღეს სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობის გამგეობა აქტივთან ერთად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავდნენ. შემთხვევითი როდია, რომ დიდი პოლიტიკური მოვლენების, სახელმწიფო კანონების, პარტიული ღონისძიებების ფართო განხილვა ჩვენი ცხოვრების ნორმად იქცა. ხალხია ყველაფრის გამკითხავი, მატერიალური და სულიერი დოვლათის ბატონ-პატრონი. ჩაისუბნელთა წვლილიც მნიშვნელოვანია საერთო საქმეში.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ნანი ძნელაძეს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მამია აბაშიძეს კლუბის წინ შევხვდი და ვკითხე, ბოლო ოთხ წელიწადში, არჩევნებიდან არჩევნებამდე რა წარმატება მოიპოვეთ-მეთქი.

— თავმჯდომარედ რომ დავიწყე მუშაობა, მაშინ სოფელში ათიოდე უღელი ხარი გვყავდა, — მოიგონა სოფლის თავკაცმა, — ახლა მანქანა-ტრაქტორების ვეებერთელა პარკი გვაქვს, მთებს რომ შევებათ, დავძლიეთ, ავაშენეთ ორი რვაწლიანი სკოლა, ვამთავრებთ ბავშვთა ბაღის მშენებლობას, ზედა წინსვლაში მზად არის ახალი კლუბი, 18 კილომეტრზე გავიყვანეთ სასოფლო გზა, მეთერთმეტე და მეთორმეტე ბრიგადებში ავაგეთ ხიდები, სოფელს შემატა ორი უნივერმაღი და მომსახურების სხვა ობიექტები. ბოლო 4-5 წელიწადში ჩაის ჰექტარობრივი მოსავალი გავზარდეთ 2.000 კილოგრამით, ხოლო ციტრუსისა — 4.000 კილოგრამით.

— მალე საშუალო სკოლასაც ავაშენებთ, — საუბარში ნანი ძნელაძე ჩაერია, — საფუძველი უკვე ჩავუყარეთ, მასში 1.100 მოსწავლე ისწავლის. კოლმეურნეთა შემოსავალმა ერთიორად იმატა, ბოლო დროს 500 ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა. ტელევიზორი, გაზქურა ყველა ოჯახში დამკვიდრდა. ბევრმა საკუთარი მანქანა შეიძინა, ეკალ-ბარდით დაფარული ჭალები და გორაკები ბაღად იქცა. 4.100 ტონა ჩაი, 7500 ტონა ციტრუსი, 2.680 ცენტნერი რძე, — ასეთია ჩვენი ყოველწლიური შემოსავალი. დეპუტატები ლ. ბაკურიძე, დ. სირაძე და სხვები დიდი საქმეების ინიციატორები არიან. დ. მამუტაძემ, ა. თავდგირიძემ და ასობით სხვა თავდადებულმა მშრომელმა სოფლის ხვავი და ბარაქა შექმნა. მრავალმა ოჯახმა კოლმეურნეობაში ხუთიათას მანეთზე მეტი გამოიმუშავა.

— მე რად დაგავიწყდით? — საუბარში ჩაერია სულეიმან ბერიძე.

— სულეიმანმა კოლმეურნეობიდან 7 ათასი მანეთი მიიღო, საკარმიდამოდანაც — ერთი იმდენი, — აგვიხსნეს სოფლის თავკაცებმა.

— სულეიმან, რას უშვრები ამდენ ფულს? — ხუმრობით ჰკითხეს მეზობლებმა.

— შარშან „ვოლგა" მომცეს, თვითმფრინავზე ჯერ არ მიფიქრია... თუ კი გაირჯები, ეს დალოცვილი მიწა ხვავით აგავსებს.

მერე ისევ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს დავუბრუნდით.

— ახლა კოლმეურნეობაში საბრიგადო კრებები იმართება, თქვა მ. აბაშიძემ, — ვაჯამებთ შარშანდელ შედეგებს და ვსახავთ ახალ ამოცანებს, ჩვენს მშრომელებს კარგად აქვთ შეგნებული არჩევნების დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, მათ მიაჩნიათ, რომ არჩევნებისათვის დიდი მზადება ჩატარდა, ყოველი ღონე იხმარეს, რათა ღირსეულად შეხვედროდნენ მას.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

საბჭოთა ხელისუფლება ხალხის ხელისუფლებაა

ცა-ხელისგულზე

მეცნიერი — რჩეული

ახლა მოხდა, რომ, როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ევგენი ხარაძის შესახებ ამ ნარკვევზე ვმუშაობდი, გადავიკითხე ნიკოლოზ ტიხონოვის ლექსი „საბჭოთა საქართველოს“ და უნებურად გამოვყავი სტრიქონები, რომლებიც, უდავოდ, ამ გამოჩენილი სწავლულის მოღვაწეობასაც შეეხება:

„ქართველი ახლა მეცნიერია
ცის და წიაღის ბატონ-
პატრონი“.

რა თქმა უნდა, ადამიანი ჯერჯერობით მთლიანად ვერ დაეპატრონა ვერც წიაღს (მექანიზმები ათ კილომეტრამდე სიღრმესაც არ აღწევს) და ვერც ცას, რომლის შტურმი, არსებითად, მხოლოდ ახლა იწყება. და მაინც, ტიხონოვის ეს სტრიქონები აღსავსეა სიმართლით, რადგან წიაღიც და ცაც შესწავლის უშუალო საგანი გახდა თანამედროვე საბჭოთა მეცნიერებისათვის, რომელშიც ქართველ სწავლულთა დიდი წვლილი შეაქვთ...

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მესამე პრეზიდენტი, რომელიც ამ საპატიო პოსტზე შარშან იანვარში აირჩიეს, მანამდე კი რამდენიმე წლის მანძილზე პირველი ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა — ევგენი ხარაძე ასე აყალიბებს აკადემიის მუშაობის პრინციპებს და ამოცანებს:

განვავითაროთ ფუნდამენტური მეცნიერებანი, უწინარესად, ის დარგები, რომლებმაც სახელი გაითქვეს მეცნიერული სკოლებით, ამავე დროს არ გამოგვრჩეს და დროულად გამოვეხმაუროთ მეცნიერების ახალ მიმდინარეობებს;

გავაფართოოთ კავშირი წარმოებასთან;

ეფექტიანი მონაწილეობა მივიღოთ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში;

შევავსოთ სამეცნიერო დაწესებულებანი ნიჭიერი ახალგაზრდობით;

ყოველივე ამის გადაწყვეტა იოლი საქმე არ არის. ამასთანავე სწორედ ოპტიმალურ გადაწყვეტას ხმარდება აკადემიის პრეზიდენტის მეცნიერული ავტორიტეტი და ორგანიზატორული ტალანტი.

ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან უშუალო კავშირი დამოუკიდებელი არსებობის გზაზე ქართული აკადემიის პირველი ნაბიჯიდანვე, რომელიც 1941 წლის 22 თებერვალს გადადგა, შემდგომში მისი საქმიანობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი გახდა. ეს კავშირი ბოლო წლებში განსაკუთრებით განმტკიცდა და ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარების საფუძველზე ხელს უწყობს რესპუბლიკის სწავლულთა წვლილის ზრდას ჩვენი ქვეყნის სახალხო-სამეურნეო და კულტურულ პროგრესში. ჩვენს დღეებში აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებს აქვთ მთელი რიგი პროგრამები (მაგალითად, ბუნების დაცვის, კოლხეთის დაბლობის ამოშრობის, ალაზნის ველის გასარწყავებისა, რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა), რომლებიც, მეათე ხუთწლედის გეგმის ნაწილი იქნება ეს, თუ მხოლოდ ვარაუდობს მომავლისათვის გამიზნულ კონკრეტულ გადაწყვეტებს, აერთიანებს ბევრ მეცნიერს და, შეიძლება ითქვას, ქართული მეცნიერების შტაბის ყველა კვლევით დაწესებულებას.

საქმის კაცი, მკაცრად მომთხოვნი და უტეხი სიტყვის კაცი, ღრმად რომ სწვდება მოვლენათა შინაგან აზრს და ჭვრეტს იმ საქმის პერსპექტივას, რომელსაც ხელს ჰკიდებს („კაცი იმით იცნობა, თუ რამდენად გულმოდგინედ ითვალისწინებს მომავალს ან საქმის შედეგს“, უთქვამს ერთ ბრძენს), ევგენი ხარაძე უდიდესი თვითდისციპლინისა და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის ნიმუშია. იქნებ, სწორედ ეს თვისებები ანიჭებს მას უფლებას მკაცრად მომთხოვნი იყოს სხვებისადმი? ვფიქრობ, სწორედ ამიტომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ევგენი ხარაძე იმ ადამიანებს უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც თანამედროვე ტიპის ხელმძღვანელებად ჩაითვლებიან ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენში, საქართველოში, ამ სიტყვებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ასეთ თანამედროვე ხელმძღვანელში შერწყმულია მკაცრი რომანტიკა, ცხოვრების ჩინებული ცოდნა, არჩეული საქმით გატაცებული რეალისტი, სიკეთისა და სამართლიანობის გამარჯვების რწმენა, პრაგმატიკოსი, რომლის მთავარი საზრუნავია თითოეული ადამიანის კეთილდღეობა, და სწორედ ამით არის ნაკარნახევი მისი მაღალი მომთხოვნელობა თითოეულისადმი... და, ვფიქრობ, ამ მომთხოვნელობის უფლება ასეთ ხელმძღვანელს სწორედ იმიტომ აქვს, რომ, უწინარესად, საკუთარი თავისადმი არის მომთხოვნი...

ვინც ზოგადად მაინც იცის ევგენი ხარაძის ბიოგრაფია, ისიც ეცოდინება, რომ მან, თვითონ დაუცხრომელმა მშრომელმა, ჩინებულად იცის მუშაობის ორგანიზაცია, კოლექტივში ადამიანების შეკავშირება და საქმით მათი დაინტერესება.

ალბათ, ორგანიზატორული ნიჭის მქონე ადამიანები ნაკლებია, ვიდრე თანამდებობანი, რომლებზეც ისინი სჭირდებათ, იქნებ, ყოველთვის ვერ პოულობენ ერთმანეთს ადამიანი და თანამდებობა. რაც შეეხება ევგენი ხარაძეს, ასეთი დამთხვევა იმთავითვე მოხდა მეცნიერებაში მისი დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებისთანავე.

ევგენი ხარაძე ოცდახუთი წლის ასპირანტი იყო, როცა ლენინგრადის ასტრონომიულმა ინსტიტუტმა, რომელიც საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან ერთად სსრ კავშირში პირველ ასტროფიზიკურ ობსერვატორიას ქმნიდა, ამ დაწესებულების დირექტორად წარადგინა იგი.

ახლა, როცა გავიგონებთ ხოლმე სიტყვებს — „აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია“ — თვალწინ წარმოგვიდგება გუმბათიანი ქათქათა კორპუსები, ასტროფიზიკოსთა დაბა, რომელსაც იცნობს მთელი მსოფლიოს მეცნიერული სამყარო და, რა თქმა უნდა, ყველა, ვინც კოსმოსური სივრცის შესწავლასა და ათვისებაზე მუშაობს (აბასთუმნის ობსერვატორია, საპატრულო სამსახურს ეწევა, რათა რადიაციული უსაფრთხოება უზრუნველყოს კოსმონავტებისათვის, რომელთაგან, რა თქმა უნდა, — მე აქვე ვუპასუხებ მკითხველების ჯერ უთქმელ შეკითხვას — არაერთი სტუმრებია ყანობილის თავაზიან მასპინძლებს).

მაგრამ ახალგაზრდა მეცნიერი ევგენი ხარაძე არარსებული ობსერვატორიის დირექტორად დანიშნეს. გზები თითქმის არ იყო, უაღრესად დაბალი იყო ტექნიკის დონე და, ახლანდელი თვალსაზრისით, სრულიად პრიმიტიული სამშენებლო მექანიზმები ჰქონდათ. მთავარი ტრანსპორტი გახლდათ ცხენები და სახედრები, მექანიზმი — ხელები; გარშემო კი... მთები, რომლებსაც გუმბათივით დასდგომოდა თითქმის მუდამ მოწმენდილი ლაჟვარდოვანი ზეცა. (სხვათა შორის: სულ ცოტა ხნის წინათ, ამა წლის 25 იანვარს, აბასთუმანში აღმოაჩინეს ზეახალი ვარსკვლავი. სულ მსოფლიოში ჯერჯერობით შესწავლილია 150-მდე ასეთი ვარსკვლავი, აქედან სამი აბასთუმანში აღმოაჩინეს. ამ ზეახალი ვარსკვლავის სიკაშკაშე 320 მილიონჯერ აღემატება მზისას. ამ ვარსკვლავამდე მანძილი 63 მილიონი სინათლის წელია. აბასთუმნელთა ანგარიშზე აგრეთვე ბევრი სხვა აღმოჩენაა, მაგრამ საგაზეთო ნარკვევი მათი ჩამოთვლის შესაძლებლობასაც კი არ იძლევა). და, რა თქმა უნდა, ობსერვატორია იმ მაღალ, ტყით დაფარულ მთაზე ვერ აშენდებოდა, ახალგაზრდა ხელმძღვანელის მგზნებარება, გერგილიანობა და მომხიბვლაობა რომ არა, რომელმაც სხვებსაც გადასდო მეცნიერული გატაცება და ენთუზიაზმი. შესაძლოა, ევგენი ხარაძეს არც კი მოეწონოს სიტყვა „ენთუზიაზმი“ თავისი თავის მიმართ, მას არ უყვარს მყვირალა სიტყვები, რაც არ გაუკვირდება მკითხველს: იგი ყოველთვის დინჯი და დარბაისელი კაცია ყოველგვარი საჭირო გამოსვლის დროს. და ეს კარგად იცის ყველამ. ამ გამოსვლების დროს (სამწუხაროდ) მისი ჩვეული იუმორიც კი არ ვლინდება ხოლმე.

მან აბასთუმნის იმ პირველი წლებიდან იცის — ახალგაზრდობა საიმედო ხალხია. იგი მაშინაც და ახლაც მხოლოდ ერთ რამეს მოითხოვს ახალგაზრდებისაგან: „იმუშაონ, ისწავლონ, მიბაძონ ყოველივე კარგს“. ვინ იცის, იქნებ, სწორედ ის არის ყანობილელთა კოლექტივის წარმატების საიდუმლო, რომ მუდამ ჰყავთ „მისაბაძი კაცი“...

საქართველოში ობსერვატორიის შექმნამ დასაბამი მისცა ციურ მნათობებზე სისტემატურ თანამედროვე დონის დაკვირვებებს, ამ მნათობების გაშიფვრასა და ანალიზს. და ქართული მეცნიერების ამ მიმართულებამ, რომელიც ევგენი ხარაძემ დააფუძნა და მასთან ერთად ავითარებენ მისი მოწაფეები, სწავლულს მოუხვეჭა საერთაშორისო ავტორიტეტი. ამის ერთ-ერთი დასტური ის არის, რომ ევგენი ხარაძე ასტრონომთა საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. ქართული ასტროფიზიკის განვითარების საქმეში ევგენი ხარაძის ღვაწლი შეგვიძლია შევადაროთ ოთხი მათემატიკოსის — ანდრია რაზმაძის, ნიკო მუსხელიშვილის, გიორგი ნიკოლაძისა და არჩილ ხარაძის — საქართველოში თანამედროვე მათემატიკის მეცნიერებისა და მათემატიკური განათლების ფუძემდებლების ღვაწლს.

... მკაცრი ომის წელს — 1942 წელს შევიდა ევგენი ხარაძე კომუნისტურ პარტიაში. იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია და ჩვეული ენერგიით და საფუძვლიანად ასრულებს თავის საპატიო და ძნელ მოვალეობას. მრავლად ნახავთ ადამიანებს, რომლებიც დიდად მადლიერი არიან მისი. განსაკუთრებით ბევრნი არიან ასეთები სამხრეთ საქართველოს რაიონებში, ყანობილის მთის გარშემო, აკადემიის პრეზიდენტი იმისათვისაც კი მოიცლის ხოლმე, რომ სკოლებში ბავშვებს ლექცია წაუკითხოს.

ევგენი ხარაძისადმი მიძღვნილ ლექსს ხ. ბერულავა ასე იწყებს: „ვარსკვლავეთია სამეფო თქვენი“. მინდა გავეპაექრო პოეტს და შევახსენო საბჭოთა რაკეტმშენებლობის ერთ-ერთი ფუძემდებლის ფრიდრიხ ცანდერის სიტყვები ასტრონომიის მიწიერი დანიშნულების შესახებ: „ასტრონომია მეცნიერების სხვა დარგებზე მეტად მოუწოდებს კაცობრიობას გაერთიანდნენ უფრო ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრებისათვის“. სწორედ ამ მიზანს ისახავს მეცნიერი, კომუნისტი, ხალხის დეპუტატი ევგენი ხარაძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, რომლის კანდიდატურასაც გუშინ ერთსულოვნად მისცეს ხმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 483 სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა.

სოფიო გველესიანი.
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

დიდი ჯილდო –პირველად

შრომის ზეიმი კოლხეთის მიწაზე

ხობი. (ტელეფონით საკ. კორ.). გაზაფხულის სუნთქვა კოლხეთში ჩვეულებრივზე ადრე იგრძნობა. ყინვისა და თოვლის შემდეგ დათბა. ბუნებამაც ხელი შეუწყო ზეიმს, რომელიც ხობში გაიმართა. რაიონის ცენტრი საზეიმოდ იყო მორთული. სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთის“ კულტურის სახლში შეიკრიბნენ გამარჯვებულები, მოვიდნენ აგრეთვე მეზობელი ფოთის საქალაქო, ზუგდიდის, წალენჯიხის, გეგეჭკორის რაიონული პარტიული კომიტეტების პირველი და მეორე მდივნები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები. კრება მიეძღვნა 1978 წელს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ხობის რაიონისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას.

რაიონის მშრომელებს საკავშირო დროშა მიეკუთვნა წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების შარშანდელი გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. ეს ჯილდო იმ დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგია, რომელიც რაიონის მშრომელებმა გასწიეს.

შარშან ხობელებმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 33,3 ცენტნერი სიმინდი, 1975 წელთან შედარებით 9 ცენტნერით მეტი. ჩაის მოსავლიანობა გაიზარდა 3.800 კილოგრამით, ციტრუსებისა — 20 ცენტნერით, თითოეულ ძროხაზე წველადობა — 785 კილოგრამით და მიაღწია 2.170 კილოგრამს.

გასული წელი განსაკუთრებით აღინიშნა მეცხოველეობაში. ხობის რაიონი პირველი იყო რესპუბლიკაში, რომელმაც სახელმწიფოსათვის 500 ტონა ხორცისა და 800 ტონა რძის მიყიდვის შემხვედრი გეგმა აიღო და შეასრულა. სასახელო მაჩვენებლები მოიპოვეს მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კულტურის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის დარგის მუშაკებმა.

მიღწეულმა წარმატებებმა საშუალება მისცა რაიონის მშრომელებს რუსთაველთა მოწოდების პასუხად გამოსულიყვნენ ახალი ინიციატივით — სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ 4 წელიწადში. უკვე გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მისი შესრულებისათვის.

შრომის ახალი მიღწევებისადმი მისწრაფება კიდევ ერთხელ გამოვლინდა აქ გამართულ საზეიმო კრებაზე.

სიტყვა ეძლევა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარეს თ. მოსაშვილს. მან ილაპარაკა რესპუბლიკისა და ხობელ მშრომელთა მიერ მოპოვებულ წარმატებებზე და იმ ახალ ამოცანებზე, რომლებიც რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ დაუსახა რაიონის მშრომელებს, კერძოდ, კოლხეთში მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და საკვები ბაზის განმტკიცების პრობლემებზე. შემდეგ მან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სახელით რაიონის მშრომელებს მიულოცა დიდი ჯილდო და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადასცა რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებს.

პარტიის ხობის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ნადარაიამ გულითადი მადლობა მოახსენა პარტიასა და მთავრობას ხობის რაიონის მშრომელთა საქმიანობის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის.

საზეიმო კრებაზე გამოვიდნენ ახალხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი შ. კემულარია, ჭალადიდის საბჭოთა მეურნეობის ნოვატორი მესიმინდე ლ. სულამანიძე, მელიორაციის საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანი ჯ. ქანდარია და სხვები, რომლებმაც რაიონის მშრომელთა სახელით პირობა დადეს, რომ ყველაფერს იღონებენ საკავშირო დროშის შენარჩუნებისათვის.

აქტივის კრებამ მისასალმებელი წერილი გაუგზავნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

გ. ნოდია.

მშვიდობისა და პროგრესის გზით

მსოფლიოს ყურადღების ცენტრში

მთელ მსოფლიოში უდიდესი ინტერესი გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე. ამ სიტყვას ფართოდ აშუქებენ და განმარტავენ უცხოეთის პრესა, რადიო, ტელევიზია.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ამომრჩეველთა წინაშე, საერთაშორისო ვითარების ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, მისი ოპტიმიზმი გვიჩვენებენ მთელი პროგრესული კაცობრიობის გზას, წერს სარედაქციო სტატიაში ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო“. ეს არის თანამიმდევრულად კლასობრივი, ინტერნაციონალისტური პოზიცია, რომელიც ასახავს საბჭოთა კომუნისტების, მთელი საბჭოთა ხალხის დაუღალავ ბრძოლას ქვეყნად მშვიდობისა და პროგრესის დასამკვიდრებლად. იგი გამოხატავს ღრმა რწმენას, რომ დაძაბულობის შენელების პროცესი კვლავ ვითარდება თანამედროვე რთულ საერთაშორისო პირობებში, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური იდეები წარმატებით ხორციელდება.

ლ. ი. ბრეჟნევმა, აღნიშნავს ფრანს პრესის სააგენტო, თავისი ქვეყანა წარმოადგინა როგორც მშვიდობისმოყვარე, პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული დიადი სახელმწიფო. მან გააფრთხილა დასავლეთი, რომ არ შეკრას პირი ჩინეთთან. ამავე დროს, დასძენს სააგენტო, საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურმა დიდი ყურადღება დაუთმო მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხებს. მან დასავლეთს მიმართა მთელი რიგი ახალი წინადადებებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ დაძაბულობის შენელების განმტკიცებას, და, კერძოდ, წამოაყენა იდეა, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს დაუდონ თავდაუსხმელობის პაქტი; „დაძაბულობის შენელება კვლავ რჩება საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად“, — ასკვნის ფრანგული „ფიგარო“.

დასავლეთგერმანული „რაინიშე პოსტი“ ასევე აღნიშნავს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ახალ საბჭოთა წინადადებას — დაიდოს სრულიად ევროპის თათბირის მონაწილეებს შორის თავდაუსხმელობის პაქტი.

ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას „ამჟამად ყურადღებით სწავლობენ“.

ამერიკის გაზეთები უდიდეს ყურადღებას უთმობენ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაზე, განსაკუთრებით სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების დადების პერსპექტივებზე, რაც გარკვეულ დაბრკოლებას შექმნის ყველაზე დამანგრეველ და ძვირად ღირებულ სახეობათა იარაღის შემდგომი დაგროვების გზაზე. **„ვაშინგტონ პოსტი“** ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას „ფრიად ოპტიმისტურს“ უწოდებს. საბჭოთა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, უდავოდ, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი ხელშეკრულების შემუშავება, დასძენს გაზეთი.

იუპის სააგენტოს მოსკოველი კორესპონდენტი თავის ცნობას ასე იწყებს: „პრეზიდენტმა ლ. ი. ბრეჟნევმა პირველად წამოაყენა წინადადება დაიდოს თავდაუსხმელობის პაქტი წინასწარი შეთანხმებით, რომ პირველნი არ გამოიყენებენ არც ბირთვულ და არც ჩვეულებრივ იარაღს“.

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას ამომრჩევლებთან შეხვედრაზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მასში აღძრული საკითხები მთელი კაცობრიობის ბედს შეეხება, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ცნობილმა ამერიკელმა ბიზნესმენმა, „ოქსიდენტლ პეტროლეუმ კორპორეიშენის“ დირექტორთა საბჭოს პრეზიდენტმა **ა. ჰამერმა.** ლ. ი. ბრეჟნევის განცხადება იმის თაობაზე, რომ მშვიდობის განმტკიცების კოლექტიურ ღონისძიებათა თვალსაზრისით ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ჩვენი ქვეყნების ახალი ხელშეკრულების შემუშავება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, ასახავს საბჭოთა ხელმძღვანელობის რეალისტურ და მშვიდობისმოყვარულ პოზიციას. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და კონგრესს მართებთ ასეთივე კონსტრუქციული მიდგომა, რადგან ყოველგვარი სხვა გადაწყვეტილება საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას. ასეთი ხელშეკრულების დადება მხოლოდ გააუმჯობესებდა საერთო კლიმატს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ურთიერთობაში და ხელს შეუწყობდა ვაჭრობისა და თანამშრომლობის გაფართოებას სხვადასხვა დარგში, დასძინა ა. ჰამერმა.

განმარტავენ რა საბჭოთა ხელმძღვანელის სიტყვას, სხვადასხვა ქვეყნის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ვიეტნამელი ხალხისათვის ამ ძნელბედობის ჟამს საბჭოთა კავშირი მთლიანად სოლიდარობს მას. საბჭოთა ხალხი, აღნიშნავს იაპონური **„ასაჰი“**, მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს ჩინეთის აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ, დატოვოს ვიეტნამის მიწა-წყალი ინტერვენტის უკლებლივ ყველა ჯარისკაცმა. საბჭოთა ხელმძღვანელმა, წერს ინდური **„ჰინდუსტან ტაიმსი“**, საკადრისი პასუხი გასცა პეკინის ახლანდელ ლიდერებს და მათ დამქაშებს — „ცივი ომის“ ადვოკატებს, რომლებიც სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ერევიან და ცდილობენ ძალით ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

იტალიის **„რეპუბლიკა“** აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის უაღრესად დიდ მნიშვნელობას, რომელსაც „მოუთმენლად მოელოდნენ მთელ მსოფლიოში“. საბჭოთა კავშირი, წერს გაზეთი, დასავლეთს უწვდის მშვიდობის ხელს და სთავაზობს განაგრძონ დაძაბულობის შენელების პროცესი. ეს გამომდინარეობს ლ. ი. ბრეჟნევის მთელი სიტყვიდან, იმ კონკრეტული წინადადებებიდან, რომლებიც სსრ კავშირმა წამოაყენა მშვიდობის დამკვიდრებისა და ნდობის, თანამშრომლობის კლიმატის დამყარებისათვის, დასძენს გაზეთი. (საკდესი).

საერთაშორისო ცნობები

აგრესორი სამარცხვინო ბოძზე

ნიქოზია, 3 მარტი. (საკდესი). კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიისა და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების მოწოდებით მთავრობის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მდებარე ყველა ქალაქში მასობრივი საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ ჩინეთის აგრესიის გამო.

ლოზუნგით „ხელები შორს ვიეტნამისაგან“ საპროტესტო მიტინგი გაიმართა ნიქოზიაში. კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალურმა მდივანმა ე. პაპაიოანუმ კვიპროსელებს მოუწოდა განამტკიცონ სოლიდარობა გმირ ვიეტნამელ ხალხთან და აღნიშნა, რომ ამ ძნელბედობის ჟამს ვიეტნამელი ხალხი მარტო არ არის. მის მხარეზეა მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა, და უწინარეს ყოვლისა, მძლავრი საბჭოთა კავშირი.

კოლომბო, 3 მარტი. (საკდესი). ჩინეთმა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესია გააჩაღა და ახლა პირფერულად აცხადებს, რომ თითქოს „მზადაა საზავო მოლაპარაკება აწარმოოს“. ეს უსირცხვილო თავხედობის აშკარა გამოვლინებაა. მაოისტი ლიდერები ლაყბობენ, რომ „სურთ მოლაპარაკება გამართონ მაშინ, როცა ჩინეთის ჯარები კვლავ ვიეტნამის ტერიტორიაზე იმყოფებიან, და ამით კიდევ ერთხელ ცხადყოფენ მთელი მსოფლიოს წინაშე დიდმპყრობელური შოვინისტების პირფერობასა და ვერაგობას, განაცხადა შრი ლანკის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ს. ა. ვიკრემასინგჰემ.

დაკა, 3 მარტი. (საკდესი). დაკის უნივერსიტეტში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზეც მიიღეს რეზოლუცია მოთხოვნით პეკინელი ლიდერებისადმი, რომ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესია, გაიყვანონ ჩინეთის ჯარები ვიეტნამის ტერიტორიიდან.

ჩინეთი სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის იარაღის როლს ასრულებს და სანაცვლოდ ამერიკელი მფარველებისაგან ეკონომიკურ დახმარებას იღებს, წერს გაზეთი „ნოტონ ბანგლა“.

ურთყამენ დამპყრობლებს

ჰანოი, 3 მარტი. (საკდესი). მიუხედავად ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი დანაკარგებისა, ჩინელი ინტერვენტები გააფთრებით, მაგრამ უშედეგოდ ცდილობენ უფრო ღრმად შეიჭრან ვიეტნამის ტერიტორიაზე. ჩინეთის ჯარები თავს იყრიან აგრეთვე ჩინეთის, ვიეტნამისა და ლაოსის საზღვრების შესაყარზე. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს ლანგშონის პროვინციაში, სადაც ჩინელმა აგრესორებმა გადაიყვანეს ქვეითი ჯარის დიდი ძალები, რომლებსაც ეხმარება ტანკები და არტილერია. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მეომრებმა და სახალხო მოლაშქრეებმა შეაჩერეს მოწინააღმდეგის წინსვლა. აქ მწყობრიდან გამოყვანილია მტრის ხუთი ტანკი და 1.100 ჯარისკაცი.

ჩაშლილია აგრეთვე ჩინეთის ჯარების ცდა შეტევაზე გადასულიყვნენ ლოკბინის მიმართულებით ლანგშონის სამხრეთ-დასავლეთით, სადაც მოწინააღმდეგემ მარტო ერთ დღეში 1.370 ჯარისკაცი დაკარგა. ამგვარად, იტყობინება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, დონგდანგის სამხრეთით სამი დღის ბრძოლების მანძილზე მოსპეს 4 ათასზე მეტი ჩინელი ჯარისკაცი, მწყობრიდან გამოიყვანეს აგრესორის 9 ტანკი, აგრეთვე 36 მძიმე ქვემეხი და ნაღმსატყორცნი.

ჰანოი, 3 მარტი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტი დონგდანგის რაიონიდან იტყობინება:

ჩინეთის მძიმე არტილერიის კანონადამ განთიადისას გააღვიძა დონგდანგის მცხოვრებლები. ჭურვები ეცემოდა ვაგზალზე, საავადმყოფოებზე, სკოლებზე, საცხოვრებელ სახლებზე. მალე დამპყრობლებიც გამოჩნდნენ. „ისინი თითქოს გაცოფებულიყვნენ, — ყვება რკინიგზელი ლე ვან ტემი. — ხოცავდნენ ყველას, ვინც გზად შეხვდებოდათ, არც ქალებს ინდობდნენ, არც ბავშვებს და არც მოხუცებს“.

დამპყრობთა წინააღმდეგ წმიდათაწმიდა მრისხანება მძლავრ ტალღად ედება მთელ ვიეტნამს. მოხალისეთა რიგებში დგება ათასობით ახალგაზრდა. მათ შორისაა ლე ვან ტამიც, მას ერთი სული აქვს შური იძიოს მტარვალების მიერ მოკლული დედ-მამის, ჩინელი ჯარისკაცის ხიშტით განგმირული თავისი პატარა დის ლე თხი ჰონგისათვის.

ჰანოი, 3 მარტი. (საკდესი). ვიეტნამელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ჩაფუშოს ჩინელი ექსპანსიონისტებისა და ჰეგემონისტების ზრახვები, წერს ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ნიან ზანი“.

ხალხისა და არმიის ერთსულოვნება და დარაზმულობა, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განუხრელი განმტკიცება გამარჯვების საწინდარია დამპყრობლების წინააღმდეგ წმიდათაწმიდა ბრძოლაში. სამი მოძმე ქვეყნის — ვიეტნამის, ლაოსისა და კამპუჩიის სოლიდარობის ფრონტი ახლა განსაკუთრებით მტკიცდება და ფართოვდება. საბჭოთა კავშირი და სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნები, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, მთელი ძალები, რომელთათვისაც ძვირფასია ქვეყნად მშვიდობა და სამართლიანობა, ვიეტნამის მხარეზე არიან, აღნიშნავს „ნიან ზანი“.

უარი თქვეს შეწყალებაზე

რომი, 3 მარტი. (საკდესის კორ.). იტალიის ქალაქ სპეციის სამხედრო ტრიბუნალმა შეწყალებასა და საპატიმროდან განთავისუფლებაზე უარი უთხრა სამხედრო დამნაშავეს, ყოფილ სს-ელ ოფიცერს ვალტერ რედერს, რომელიც სამუდამო პატიმრობას იხდის ქალაქ გაეტის საპყრობილეში.

1944 წლის სექტემბრის დამლევს ნაცისტი მტარვალების ბატალიონი რედერის მეთაურობით ჩავიდა დაბა მარცაბოტოს (ბოლონიის პროვინცია), რაიონში, სადაც მაშინ მოქმედებდა პარტიზანული ბრიგადა „წითელი ვარსკვლავი“. დამსჯელი ოპერაციების დროს სს-ელებმა ერთ კვირაში ამოხოცეს ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობა — 1836 მოხუცი, ქალი და ბავშვი. მათ ჩვილებიც არ დაინდეს.

1951 წელს ბოლონიის სამხედრო ტრიბუნალმა სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა ყოფილ მაიორ რედერს, რომელსაც ბრალი მიუძღოდა ადამიანთა მასობრივ მოსპობაში.

აღორძინების გზაზე

სულ უფრო ნორმალური ხდება ცხოვრება კამპუჩიაში პოლ პოტი-იენგ სარის რეჟიმის დამხობის შემდეგ. სამალავებიდან გამოდიან ადამიანები, სადაც ისინი თავს აფარებდნენ ფაშისტური ხროვის ტერორის გამო. გამოცოცხლდა პნომპენი. ყველგან იქმნება თვითმმართველობის ახალი ორგანოები — კომიტეტები.

სურათზე: თავისუფალი პნომპენის ქალები გამარჯვებას ზეიმობენ.

საკდესის ფოტო.

[illegible]

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰანოი. (საკდესი). ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ხელისუფალნი ეს ბოლო წლებია აძლიერებდნენ პროვოკაციებს და განუწყვეტლივ იმუქრებოდნენ, ვიეტნამის ხალხი და მთავრობა, რომლებიც მშვიდობისა და ჩინელ ხალხთან მეგობრობისადმი თავიანთი მისწრაფებით ხელმძღვანელობდნენ, უდიდეს თავშეკავებას იჩენდნენ და ეძებდნენ ვიეტნამსა და ჩინეთს შორის ურთიერთობაში არსებული ყველა პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების გზებს.

რაც შეეხება სასაზღვრო პრობლემას, ვიეტნამმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი სამართლიანი პოზიცია ისტორიულად დამკვიდრებული სასაზღვრო ხაზის სრული პატივისცემის სულისკვეთებით იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელსაც ორივე მხარემ მიაღწია 1957-1958 წლებში. მაგრამ დიდმპყრობელური ექსპანსიონიზმისა და ჰეგემონიზმის სწადილით შეპყრობილი ჩინეთის მხარე სისტემატურად უარს ამბობდა პრობლემის მოწესრიგებაზე.

1979 წლის 17 თებერვალს ჩინეთის ხელმძღვანელები აშკარად გადავიდნენ მასირებულ სამხედრო მოქმედებაზე ვიეტნამ-ჩინეთის მთელი საზღვრის გაყოლებით, და აგრესიული ომი გააჩაღეს ვიეტნამის წინააღმდეგ.

ამ აგრესიის წინაშე მთელი ვიეტნამელი ხალხი, დიდიან-პატარიანა, ერთად აღდგა საბრძოლველად, რათა დაიცვას სამშობლოს დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. მან უკვე შემმუსვრელი დარტყმები აგემა აგრესორს.

ჩინეთის ხელისუფალნი გაფაციცებით გზავნიან ახალ-ახალ ჯარებსა და ომის წარმოების საშუალებებს ჩინეთ-ვიეტნამის საზღვარზე, ხოლო შემდეგ — ვიეტნამში, და ამავე დროს წინადადებას იძლევიან შეუდგნენ მოლაპარაკებას თითქოსდა იმ მიზნით, რომ „ბოლო მოეღოს ორი ქვეყნის სასაზღვრო კონფლიქტს“.

ვიეტნამის ხალხისა და მთავრობის პოზიცია ნათელია: რამდენადაც ჩინეთის ხელისუფლებმა დაიწყეს აგრესიული ომი ვიეტნამის წინააღმდეგ, მათვე უნდა შეწყვიტონ თავიანთი აგრესია და სამუდამოდ აიღონ ხელი თავიანთ აგრესიულ გეგმებზე. მათ დაუყოვნებლივ და უთუოდ უნდა გაიყვანონ თავიანთი ჯარები ისტორიულად დამკვიდრებული სასაზღვრო ხაზის მეორე მხარეს, ხაზისა, რომელსაც ორივე მხარე უნდა იცავდეს და განუხრელი პატივი სცეს ვიეტნამის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

აი, ამის შემდეგ ვიეტნამი მზად არის მოლაპარაკება აწარმოოს ჩინეთთან იმის თაობაზე, რომ ორ ქვეყანას შორის აღდგეს ნორმალური ურთიერთობა ვიეტნამელი და ჩინელი ხალხების, მსოფლიოს სხვა ხალხების კანონიერი სურვილის შესაბამისად.

მსოფლიოს რუკასთან

ახალი სახელმწიფო

სენტ-ლუსია

ამ დღეებში მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე გამოჩნდა ამერიკის კონტინენტზე რიგით 31-ე და მსოფლიო რუკაზე რიგით 163-ე დამოუკიდებელი სახელმწიფო — სენტ-ლუსია.

სენტ-ლუსია თავისი ფართობით პატარაა (616 კვ. კმ), ვულკანური წარმოშობის კუნძულია და მდებარეობს ქარზედა კუნძულთა ჯგუფში (ვესტინდოეთი).

ახალი სახელმწიფო საკმაოდ მჭიდროდ არის დასახლებული (123000 კაცი), ასევე მაღალია საშუალო სიმჭიდროვეც — 1 კვ. კმ-ზე 200 კაცი. უმეტესობას შეადგენენ ზანგები და იმ შავკანიანთა შთამომავლები, რომლებიც კოლონიზატორებმა აქ ძალით ჩამოიყვანეს შაქრის ლერწმისა და ბამბის პლანტაციებში სამუშაოდ (XVII-XVIII სს), არიან კრეოლებიც — იმ კოლონიზატორთა შთამომავლები, რომლებიც ესპანეთის, პორტუგალიისა და საფრანგეთის კოლონიებში ცხოვრობდნენ ამერიკის კონტინენტზე, აგრეთვე ინგლისელები, ფრანგები; სახელმწიფო ენაა ინგლისური, თუმცა ყველაზე მეტად გავრცელებულია ფრანგული ენის ადგილობრივი დიალექტი — პატუა. დედაქალაქია კასტრი (50000 მცხოვრებით), რომელიც მსხვილი საოკეანო ნავსადგური და ფაქტიურად ერთადერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრია. შედარებით მსხვილი დასახლებული პუნქტებია ადგილობრივი მნიშვნელობის ნავსადგურები — სუფრიერი, პრალენი, ვიე-ფორი.

ბუნებრივი პირობების მიხედვით კუნძული სენტ-ლუსია ბევრი რამით ჰგავს ქარზედა არქიპელაგის სხვა კუნძულებს. რელიეფი ბორცვოვანია, უმაღლესი წერტილი 958 მეტრია. კუნძული აქტიურ მთათა წარმოშობის ზონაშია, ამიტომ ძალზე ხშირია სეისმური მოვლენები. ბევრია ცხელი წყაროები, არის მოქმედი ვულკანიც (სუფრიერი), ტროპიკულ პასატურ ზონაში მდებარეობის გამო ჰავა პასატურ-საზღვაოა, ამიტომ სენტ-ლუსიას ხშირად „პასატების კუნძულს“ უწოდებენ, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 5000 მმ-ს აღწევს. ხშირია გრიგალები.



კუნძულის ფართობის თითქმის 45 პროცენტი დაფარულია ტროპიკული ტყეებით, რომლებიც მდიდარია ძვირფასი ჯიშის ხეებით (იამაიკის კაკალი, სებია და სხვ.), ამიტომ ძვირფასი მერქნის დამზადება და ექსპორტი სენტ-ლუსიის ერთ-ერთი სამეურნეო საქმიანობაა. კუნძულზე მდინარეები და ტბები არ არის, სასმელ წყალს იღებენ კარსტული გამოქვაბულებიდან. ტექნიკური წყლის მისაღებად არის ზღვის წყლის გასამტკნარებელი დანადგარები.

მეურნეობის მხრივ სენტ-ლუსია საკმაოდ ჩამორჩენილია. განვითარებულია მხოლოდ საპლანტაციო ტროპიკული მიწათმოქმედება. საექსპორტო კულტურებია ბანანი, აგრეთვე შაქრის ლერწამი, ბამბა, კაკაო. მრეწველობა წარმოდგენილია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასამუშავებელი წვრილი საწარმოებით. დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოო ტურიზმს, სწრაფად ვითარდება მეთევზეობა.

კუნძული სენტ-ლუსია, ისევე როგორც ქარზედა არქიპელაგის ყველა კუნძული, XVI საუკუნეში აღმოაჩინეს ესპანელებმა, შემდეგში თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში კუნძულისათვის იბრძოდნენ ფრანგები და ინგლისელები. ეს ბრძოლა ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დამთავრდა. 1814 წლიდან კ. სენტ-ლუსია ინგლისის სამფლობელოდ გამოცხადდა და გადაიქცა შაქრის ლერწმისა და ბამბის სანედლეულო ბაზად ბრიტანეთის იმპერიაში. 1965 წლიდან კუნძული ითვლებოდა ბრიტანეთის ასოცირებულ ქვეყნად. იგი შედის ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში.

კუნძულზე მმართველია გაერთიანებული მუშათა პარტია, არის ოპოზიციური ლეიბორისტული პარტია.

გრ. ზარდალიშვილი.
პროფესორი.

გუშინ ჩვენს დედაქალაქში

სურათზე: თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სასახლის ახალგაზრდული ანსამბლი „სიხარული“ (ქორეოგრაფი — ვ. აბაშიძე) გამოდის №120/77 საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა წინაშე.
ვლ. ბინზბურგის ფოტო.

საბჭოთა ხელისუფლება ხალხის ხელისუფლებაა

გასტეხს ქვასაცა

ხელოვანი — რჩეული მამარსა...

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად № 738 ჯავის საარჩევნო ოლქში კენჭი იყარა საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა, სახელმწიფო და რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატმა მერაბ ბერძენიშვილმა.

სახალხო პატივი მ. ბერძენიშვილმა ჭეშმარიტად დაიმსახურა თავისი მაღალმხატვრული შემოქმედებით და უმწიკვლო პირადი ცხოვრებით. მისი ხელოვნება ხალხს ემსახურება და მისი ტკივილისა თუ სიხარულის ჭარბად დამტევია.

მ. ბერძენიშვილის შემოქმედება თემატურად მრავალფეროვანია და ჩვენი ყოფა-ცხოვრების ყველა მხარეს ასახავს. მაგრამ ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მის ნაწარმოებებში მთავარია ეროვნული თემა, ეროვნულობის ცხოველი დვრიტა ასაზრდოებს მოქანდაკის ყოველ ქმნილებას. ვალი თავისი ქვეყნის, ერისა და ენისა განმსაზღვრელია მისი შემოქმედებისათვის. ხელოვანი მძაფრად აღიქვამს მშობლიური მიწის ყვილს, მის ისტორიას და მდიდარ თანამედროვეობას. მთელი სიგრძე-სიგანით აქვს შეცნობილი, რომ „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“.

ფართო შინაარსისა და ემოციურობის დამტევი მისი ქმნილებანი მნახველს განაცვიფრებს მასშტაბურობით, იდეის სიღრმით, ფსიქოლოგიური გააზრებით, დინამიკურობით და საერთოდ — შემოქმედებითი ძიებით. ადვილია მოქანდაკის ნაწარმოებთა შინაარსის გახსნა, თუ იცი ისტორია და ლიტერატურა. აქ ხომ თვით ჩვენი წარსული ფიქსირდება, ის ისტორია, რომელიც ხმლით, გუთნით და საჭრეთელით იწერებოდა და იქმნებოდა. მხატვრის ქანდაკებები დგას იქ, სადაც ჩვენი ქვეყნის და ამ ქვეყნის პატრონი ხალხის საარსებო პრობლემები წყდებოდა.

გრძნობდე პასუხისმგებლობას, ვალდებულს ხდიდე საკუთარ თავს — ეს ნიჭია უპირველესად და მერე მოწოდება — უანგაროდ და გულმხურვალედ ემსახურებოდე მშობელ ხალხს, მას მისცე ის, რაც შეგიძლია, რისი უნარიც შეგწევს — ეს ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის ვალია და უფრო კი — ხელოვნისა. რადგანაც ხელოვნება მოწოდებულია აღზარდოს ხალხი მაღალი პატრიოტიზმის გრძნობით. ამ ნიშანთვისებით ხასიათდება მ. ბერძენიშვილის შემოქმედებაც.

პოეზია, ხუროთმოძღვრება და მხატვრობა ეროვნულ ხასიათსა და ნიჭს გამოხატავს. ბოლნისი, ჯვარი, სვეტიცხოველი, შატილის ანსამბლი, სვანური კოშკები მეტყველებს ერის ნიჭისა და ფანტაზიის მბრწყინავ სიდიადეზე. ჭეშმარიტად ასეთ განვითარებულ ქვეყანაში — ხელოვნება უნდა იდგეს მოწოდების სიმაღლეზე, რომ არ ჩაკვდეს მდიდარი მემკვიდრეობა, რათა ტრადიცია ღირსეულად გაგრძელდეს. ყველა ამ წინაპირობას ჭეშმარიტად უპასუხებს მ. ბერძენიშვილის შემოქმედება, დაწყებული სამხატვრო აკადემიიდან ვიდრე დღემდე.

დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპულ ვაჟკაცთა ხსოვნას მიეძღვნა ძეგლი-ანსამბლი „კიდევაც დაიზრდებიან“, რომელიც მარნეულში დაიდგა. ეს ქვით გაცოცხლებული უდიდესი პოემაა, რომელიც ხასიათდება მთლიანობისა და ინდივიდუალობის ბედნიერი თანხმობით. აქ, მართლაც რომ იგრძნობა შემოქმედებითი ძიების სიღრმე, გასაოცარი დინამიკურობა. ქანდაკება კომპოზიციურად სრული და ფსიქოლოგიურად დამაჯერებელია. ძეგლი მნახველს აოცებს შესრულების უნივერსალური სტილით, ჩანაფიქრის სიღრმითა და სულიერ მოძრაობათა სირთულით. აქ არის „ზამბარული ნერვი“, რომელიც ხალხს აღვიძებს, აფხიზლებს და მოუწოდებს.

ძეგლი ერთხელ კიდევ შეგვახსენებს, რომ არ შეიძლება ისტორიის გაკვეთილების დავიწყება. შეიქმნა ხელოვნების ბრწყინვალე ნაწარმოები, რომლისთვისაც მოქანდაკეს სახელმწიფო პრემია მიენიჭა...

მეორე მისი ქანდაკება „გიორგი სააკაძე“ კასპში დგას. დიდი ქართველი სარდალი ცხენზე ამხედრებულა. გიორგის სახე შთამბეჭდავი და ამაზრზენია. სამკვდრო-სასიცოცხლოდ, სიკვდილის შიშით დაღმეჭილი და თვალგადმოკარკლული ცხენი და მხედარი თითქოს მზად არიან დატოვონ კვარცხლბეკი და თავისი ვალი შეასრულონ. და მაინც ამ ნაწარმოებს თითქოს „აკლია რაღაც“, უყურებ და გგონია, ძეგლი დაუმთავრებელიაო. ეს ჭეშმარიტ ხელოვნებას შეეფერება. დიახ, მნახველში ფიქრი გრძელდება და ამით ნაწარმოები მეორე სიცოცხლეს იძენს. ამ ფიქრს ყველა იმ დონეზე ამთავრებს, როგორი ცოდნის ჰორიზონტიც აქვს. ქანდაკება რაღაცნაირად გაქვავებული კინოკადრია, რომელსაც მოძრაობა ისევ უნდა დაუბრუნდეს და ჩაერთოს ამ ჩანაფიქრის მთლიანობაში, რაც ხელოვანს ჰქონდა დათქმული. ჰოდა, იწყება აქტიური ფიქრი, რაც ქმნის ნაწარმოების გაგრძელების საშუალებას. ასეთ ემოციურ ზემოქმედებას მხოლოდ ხელდალოცვილი ოსტატები აღწევენ. ნაწარმოების „მეორე სიცოცხლე“ ხალხის ფიქრია, მისი გაგრძელებაა და ყველა იმ კომპონენტით შევსებაა, რაც საჭიროა ასეთ დროს.

„გიორგი სააკაძემ“ ღირსეულად მოიპოვა ჩვენი ხალხის ეროვნული ჯილდო — შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, რამაც ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი მოქანდაკის სწორ არჩევანს.

ჩვენ აქ რუსთაველის სახელობის პრემია ვახსენეთ და ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ ამ პრემიის ღირსეულ ლაურეატს, თვით შოთას უკვდავი სახე რამდენჯერმე აუმეტყველებია ბრინჯაოში. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, მისი სადიპლომო ნამუშევარი იყო „რუსთაველი“, რომელიც დღეს კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ვესტიბიულს ამშვენებს. ეს დიპლომანტის დიდი გამარჯვება იყო და აქედან შედგა ფეხი მ. ბერძენიშვილმა დიდ ხელოვნებაში. შემდეგ კი შოთა რუსთაველის იუბილეს დღეებში, რომელიც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვშიც ფართოდ აღინიშნა, გაიხსნა მისი ქანდაკება — „რუსთაველი“. მიტინგი გახსნა და ძეგლს საბურველი ჩამოაშორა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა. ეს იყო დიდი დაფასება და აღიარება ქართული კულტურის და მისი მდიდარი წარსულისა.

ჩვენ აქ მ. ბერძენიშვილის საერთო აღიარებაზე ვილაპარაკეთ, მაგრამ იგი ერთბაშად არ მოსულა. ყველას ახსოვს აზრთა დიამეტრული სხვადასხვაობა, რაც გამოიწვია „დავით გურამიშვილმა“ და „მუზამ“, რომელიც ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის წინ დგას. მაგრამ ხელოვანმა გაიმარჯვა და დღეს ეს ნაწარმოებები მიღებული და აღიარებულია.

მკითხველს მოკლედ გავაცნობთ ბერძენიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის ეტაპებს. მას მონაწილეობა მიუღია სხვადასხვა გამოფენაში, სადაც მისი ნამუშევრები პრემიით და ჯილდოთი აღნიშნულა. ერთხანობას „ნაკადულში“ ასურათხატებდა საბავშვო წიგნებს, 1958 წელს ვენაში ახალგაზრდობის ფესტივალზე მის სკულპტურულ ნამუშევარს „ქართველი ქალი“ მიენიჭა პირველი ხარისხის საპატიო დიპლომი (მასალა ბრინჯაო). ამავე ქანდაკებამ მოსკოვში სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს დიპლომიც მიიღო. 1969 წელს ბიჭვინთაში დაიდგა „მედეა“. ფილარმონიის ვესტიბიულში გაკეთდა მისეული ქვის ბარელიეფი „მუსიკის დაბადება“. ზ. ფალიაშვილის იუბილეს დღეებში გაიხსნა ოპერისა და ბალეტის თეატრის სკვერში „ფალიაშვილი“. გურჯაანში დაიდგა ქანდაკება „ჯარისკაცის მამა“. ამ ძეგლის გახსნა საერთო-სახალხო ზეიმად გადაიქცა. მარჯანიშვილის მეტროს ამშვენებს მისი გორელიეფი — ბიუსტი „მარჯანიშვილი“. მარმარილოში გამოაქანდაკა წინამძღვრიშვილი, რომელიც მისსავე სოფელში დგას. ხოლო ბრინჯაოთი გააცოცხლა მამაცი ქართველი გოგონას ზოია რუხაძის სახე, რომელიც ბათუმის ერთ-ერთ სკოლას ამშვენებს.

ახლო მომავლისათვის მზადა აქვს ორფიგურიანი კომპოზიცია „მშვიდობა“, რომელიც შავი ზღვისპირეთის ქალაქ სოჭში დაიდგმება. „ბოროტსა სძლია კეთილმან“ — ასეთი სახელწოდებით დაიდგმება ქანდაკება გრიბოედოვის თეატრის სკვერში.

მომავალი წლის ბოლოსათვის ქ. ქუთაისში დაიდგმება მემორიალური ძეგლი, რომელიც ფაშიზმზე კაცობრიობის გამარჯვების იდეით იქნება ასულდგმულებული. გარდა ამისა მოქანდაკე ნაყოფიერად მოღვაწეობს გრაფიკასა და ფერწერაში.

სულიერ საზრდოს, რომელსაც მ. ბერძენიშვილის შემოქმედებით ვიღებთ, არაფერი შეედრება და ასეთი საზრდო ნუმც მოგვკლებოდეს.

ს. ჭინჭარაული.

ვემსახურები საბჭოთა კავშირს!

◆

შვილი ჯარშია

ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდას სამხედრო ნაწილებში დიდი ყურადღება ექცევა. რა თქმა უნდა, სამხედრო საქმის ცოდნას, დავალების უზადო შესრულებას, დისციპლინას და შრომისმოყვარეობას ჯარისკაცურ ცხოვრებაში წამყვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მებრძოლთა პოლიტიკური ცოდნის გაღრმავება, სააგიტაციო მუშაობის სრულყოფა.

მადლობის ბევრ წერილში სწორედ ამ საქმეში მოპოვებულ წარმატებებზეა ლაპარაკი. სამხედრო ნაწილიდან მიღებულმა ასეთმა წერილებმა გაახარა გივი ქიტაშვილის, სოსო ქველაძის, ავთანდილ კვერხელიძის, ოლეგ მამაცაშვილის, რეზო ლომსაძის და ბადრი მაჭარაშვილის მშობლები. სამხედრო ნაწილების მეთაურთა შემადგენლობა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები კმაყოფილებით წერენ აქ ჩამოთვლილ მებრძოლთა წარმატებებზე და მადლობას უცხადებენ მშობლებს სამშობლოს პატრიოტთა და მამაც დამცველთა აღზრდისათვის.

ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ აღზრდის რა სკოლა გაიარა მებრძოლმა ოჯახში. ზოგი მოსვლის პირველი დღეებიდანვე ადვილად ეგუება დისციპლინას, ჯარისკაცურ ცხოვრებას, ზოგი კი უფრო მოგვიანებით. თქვენი შვილი დავითი მიეკუთვნება ახალგაზრდობის იმ რიცხვს, რომლებსაც ოჯახში კარგი აღზრდა აქვთ მიღებული, — სწერს სამხედრო ნაწილის მეთაური ვ. ჩოგუშინი დ. ოქრუაშვილის მშობლებს რუიზანსა და ვიქტორს, — სწავლის წყურვილი, ჯარისკაცური ერთგულება, თავმდაბლობა — აი, რით გამოირჩევა დავითი.

სამხედრო ნაწილების მეთაურებისაგან შვილების წარმატებათა შესახებ მადლობის წერილები მიიღეს მშობლებმა ნელი და სერგო მებაღიშვილებმა, ქსენია და გიორგი გზირიშვილებმა, ვერა და შოთა მჭედლიშვილებმა, ელენე და არსენ ტაველურებმა, ანა და დავით გოგოლიანებმა, მარიამ და ვასილ ვეშაპიძეებმა, ნორა და ნიკოლოზ ხმალაძეებმა, ოლია და თენგიზ ლომიძეებმა, ტატიანა და ჯემალ სურმავებმა. ამ წერილებში აღწერილია ჯარისკაცების ნოდარ მებაღიშვილის, მალხაზ გზირიშვილის, გიორგი მჭედლიშვილის, თეიმურაზ ტაველურის, სერგო გოგოლიანის, თემურ ვეშაპიძის, ალბერტ ხმალაძის, გიზო ლომიძისა და ემზარ და ნუგზარ სურმავების წარმატებანი სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებაში, დავალებათა შესრულებაში.

ვ. გაბელია.

დრო, ამბები, მოვლენები

ინფორმაცია—79

შინ და გარეთ

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში დიდი წარმატებით გრძელდება საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის გასტროლები. ქართველი მსახიობები გამოვიდნენ კრემლის ყრილობათა სასახლის, „როსიას“ საკონცერტო და ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზების სცენებზე. გულთბილი, დაუვიწყარი შეხვედრები ჰქონდა ანსამბლს „ვარსკვლაველთა“ ქალაქსა და ქალაქ დუბნაში, სადაც მაღალი შეფასება და აღიარება ხვდათ წილად.

საინტერესო და მრავალფეროვანია განახლებული პროგრამა. ანსამბლი ასრულებს რუსულ სახასიათო, სომხურ და აზერბაიჯანულ ცეკვებს, განახლებული რედაქციით არის დადგმული „ფარცა“, „ძველი თბილისის სურათები“, „ქართული სიუიტა“. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „გამარჯვების ცეკვა“, რომელიც დიდ სამამულო ომში ჩვენი არმიის ისტორიულ გამარჯვებას ეძღვნება.

22 აპრილს ინგლისში იხსნება საბჭოთა ეროვნული გამოფენა. ორი თვის მანძილზე ქართველი მსახიობები თავის ოსტატობას უჩვენებენ ინგლისელებს. ეს იქნება ანსამბლის მეხუთე საგასტროლო მოგზაურობა ინგლისში. გასტროლები დაიწყება ლონდონის ცნობილ დარბაზ „ფესტივალ-ჰოლში“ და გაგრძელდება ინგლისისა და ირლანდიის ქალაქებში.

მოსკოვური დღიურები

ანსამბლი კონცერტებს გამართავს აგრეთვე ქალაქ სანდერლენდში, სადაც 1967 წელს, ქართველ მოცეკვავეთა გასტროლების დროს, ერთ-ერთ ქუჩას საქართველოს ქუჩა დაარქვეს.

მოსკოვში ანსამბლს ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. სუხიშვილი.

ქართველი პოეტის საღამო

პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში გაიმართა პოეტ მიხეილ ქელივიძის შემოქმედებითი საღამო. ამ შენობაში, სადაც დაცულია პუშკინის დროინდელი რელიკვიები, კარგ ტრადიციად გადაიქცა პოეზიის საღამოების გამართვა. აქ უკვე მოეწყო ბ. ახმადულინას, დ. სამოილოვის შემოქმედებითი საღამოები, ნ. ზაბოლოცკის მოსაგონარი საღამო, ლიტერატურული საღამო „პუშკინი და საქართველო“.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მწერალმა ლ. რაზგონმა. მან გულთბილად ილაპარაკა საქართველოზე, ქართულ პოეზიაზე, მის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელზე მ. ქელივიძეზე.

შემდეგ პოეტმა წაიკითხა თავისი ლექსები, გამოვიდნენ აგრეთვე ე. ნიკოლაევსკაია, მ. სინელნიკოვი.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

მეცხვარეებთან...

„პროფესორთა დღეები“ ყიზლარის საძოვრებზე

მეცხვარე გივი ნ. ს., რომელიც საქართველოს ყიზლარის საძოვრებზე ცხვრის ფარას მწყემსავს, სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა, მაგრამ მისი ქალაქში წაყვანა აუცილებელი არ გამხდარა. რესპუბლიკის მთავარმა ექიმმა, პროფესორმა ო. მამამთავრიშვილმა კოლმეურნეს რთული ოპერაცია გაუკეთა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ადგილობრივ საავადმყოფოში. ეს საავადმყოფო დაღესტნის ასს რესპუბლიკის დაბა კოჩუბეიში აქ მოზამთრე მეცხვარეებისა და სპეციალისტებისათვის შეიქმნა.

ოპერაცია, რომელსაც ადგილობრივი ქირურგები ესწრებოდნენ, თებერვლის დამლევს ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე მოწყობილი „პროფესორთა დღეების“ ერთ-ერთი ეპიზოდია.

მეცხოველეებისათვის ცხარე დღეებში, როცა დოლია გაჩაღებული, საქართველოს დედაქალაქის ცნობილმა მეცნიერებმა დროებით დატოვეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, კლინიკები და თავიანთ სამუშაო კაბინეტებად გადააქციეს დაბა კოჩუბეის სამედიცინო-სანიტარიული ნაწილის შენობები, ნოღაის ველებზე მდებარე საფერშლო პუნქტები და სამედიცინო უბნები.

დროებითი სამედიცინო კაბინეტები გაიხსნა აგრეთვე ველის 320 ათას ჰექტარ ფართობზე მიმოფანტულ მეცხოველეობის ფერმებში.

ათობით მეცხვარემ გაიარა კონსულტაციები თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპიისა და კარდიოლოგიის კათედრის გამგესთან, პროფესორ გ. ცინცაძესთან, ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური ნევროლოგიის განყოფილების ხელმძღვანელთან პროფესორ ვ. გაბაშვილთან, კანის დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილესთან, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ რ. ჩუბინიძესთან. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანდაცვის განყოფილების გამგემ ლ. აბაშიძემ მეცხოველეებს გადასცა პირველი სამედიცინო დახმარების საველე აფთიაქები. მეცხვარეები, რომლებსაც სპეციალისტებმა დაავადებები აღმოუჩინეს, ადგილობრივ სამკურნალო დაწესებულებებში დისპანსერულ აღრიცხვაზე არიან აყვანილი, საჭიროების შემთხვევაში კი მათ შესაძლებლობა ექნებათ იმკურნალონ თბილისის კლინიკებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში.

ქართველმა მეცნიერებმა მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს აგრეთვე დაღესტნის ასს რესპუბლიკის თარუმოვკის რაიონის მცხოვრებლებს, რომლის ტერიტორიაზეც არის საქართველოს ყიზლარის ზამთრის საძოვრები.

საქართველოს ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე „პროფესორთა დღეები“ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელების შეფობის პროგრამის შემადგენელი ნაწილია. საქართველოს დედაქალაქის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, მსხვილმა სამკურნალო-პროფილაქტიკურმა დაწესებულებებმა იკისრეს თითოეული რაიონის შეფობა. მედიკოსი მეცნიერები და პრაქტიკოსი ექიმები რეგულარულად მიემგზავრებიან რაიონებში ადგილობრივი მოსახლეობის სამედიცინო შემოწმებისათვის, აწყობენ იქ სოფლის მშრომელთა სამედიცინო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს.

ი. გოლდმანი,
(საქინფორმის სპეც. კორ.).
დაბა კოჩუბეი.
დაღესტნის ასსრ.

ვრცელია ჩვენი ქვეყანა — ასეთი დევიზით რუსთავის ქიმიკოსთა კულტურის სახლში გაიმართა დასვენების საღამო. ისმოდა სიმღერები, მუსიკა...

მთელი რიგი მუსიკალური ნაწარმოებების ავტორი და მთელი დადგმის რეჟისორია ალექსი რევაზიშვილი. — ყოფილი მეფოლადე, ამჟამად კულტურის სახლის დირექტორი.

...იგი კარგი მეფოლადე იყო. მის შესახებ წერდნენ ჟურნალ-გაზეთები, მის გამოცდილებას იზიარებდნენ მონათესავე საწარმოების კოლეგები.

მაგრამ ერთხელ, ცხოვრებაში რა არ ხდება... ალექსი რევაზიშვილი იძულებული შეიქნა მარტენის საამქროს გამოთხოვებოდა. ასეთი იყო ექიმების განაჩენი.

ამ ამბავს განიცდიდნენ ალექსიც და მისი მეგობრებიც. მის ბედ-იღბალზე რომ ფიქრობდნენ,

ყოფილი მეფოლადე — მუსიკოსი

ალექსი რევაზიშვილის სტუმრები

ერთ-ერთმა მისმა მეგობარმა გაიხსენა, რომ რევაზიშვილი არც თუ ისე ცუდად ხელმძღვანელობდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, თვითონაც კარგად მღეროდა, დეკლამატორის ნიჭიც ჰქონდა. და მას, ეს კი ოცი წლის წინათ მოხდა, შესთავაზეს სათავეში ჩადგომოდა რუსთაველ ქიმიკოსთა კულტურის სახლს.

მრავალი საპატიო სიგელი, სასახელო საპრიზო ადგილები, რომლებიც კულტურის სახლს არაერთხელ დაუმსახურებია მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებებზე, მეტყველებს, რომ თავის ახალ მნიშვნელოვან პოსტზეც ალექსი რევაზიშვილი ძალღონის დაუზოგავად შრომობს. შარშან ქიმიკოსთა კულტურის სახლი მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა სამი ათასი მანეთით დააჯილდოვა.

ქიმიკოსთა კულტურის სახლი საწარმოს მშრომელებს თავიანთ მეორე სახლად მიაჩნიათ, აქ მოდიან დასასვენებლად, აქ იკრიბებიან, რათა ერთმანეთს გაუზიარონ მუშაობის გამოცდილება, იმსჯელონ მომავალ გეგმებზე, მოდიან მარტო, მოდიან ოჯახებთან ერთად და მუდამ სასურველი სტუმრები არიან.

ალექსი რევაზიშვილი არც მარტენის საამქროს ივიწყებს, ხშირად მიდის ხოლმე იქ. მაგრამ მარტო კი არა, კულტურის სახლის ანსამბლების კოლექტივებთან ერთად. კონცერტებს მართავენ მეფოლადეებისათვის.

რ. დავიდოვი.

სჯა-ბაასი ახალ ფილმზე

„დათა თუთაშხია“ ნახა 3 მილიონზე მეტმა კაცმა

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სხდომათა დარბაზში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის ეკრანზე მრავალსერიიანი მხატვრული ფილმის „დათა თუთაშხიას“ ჩვენებას.

სხდომა გახსნა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა რ. ჩხეიძემ. ფილმზე მუშაობის სხვადასხვა მომენტზე დამსწრეთ ესაუბრნენ დამდგმელი რეჟისორები გ. ლორთქიფანიძე და გ. გაბესკირია.

საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. დვალიშვილმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა უდიდეს ინტერესს იჩენს მაყურებელი ახალი ქართული ფილმის მიმართ. თვეზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში „დათა თუთაშხია“ უკვე 3 მილიონ 700 ათასმა კაცმა ნახა. ქართველ კინემატოგრაფისტთა ახალი ნამუშევრის ავ-კარგზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს პროფესორმა ს. ხუციშვილმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ო. თაქთაქიშვილმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა დ. სტურუამ, პროფესორმა ვ. ბერიძემ, გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორმა ო. ეგაძემ და სხვებმა. ბოლოს ფილმის დამდგმელმა რეჟისორებმა უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

ვ. მაღლაკელიძე.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ანჯეი და ელიზას“ პოპულარულმა მსახიობებმა უჩვენეს მრავალფეროვანი პროგრამა.

პოლონელი მომღერლების გასტროლებმა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში თბილისელებისა და რესპუბლიკის დედაქალაქის სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია.



სურათზე: ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ანჯეი და ელიზას“ გამოსვლა.

პ. იუხანოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ტურის ბოლოთქმა

ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალურ ტურნირებზე

ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველ ზონაში (თბილისი, რუსთავი) გამართული მეორე ტურის შეხვედრათა შედეგები მკითხველმა უკვე იცის. დანარჩენ ზონებში მატჩები ასე დამთავრდა:

მეორე ზონა. „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)-„დინამო“ (მინსკი) — 1:0, „დინამო“ (კიევი)-„ზენიტი“ (ლენინგრადი) — 4:0, „ისკრა“ (სმოლენსკი)-„ნისტრუ“ (კიშინიოვი) — 2:0.

მესამე ზონა. „ტრაქტორი“ (პავლოდარი)-„პამირი“ (დუშანბე) — 0:1, „ალგა“ (ფრუნზე)-„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — 0:1, „შახტიორი“ (დონეცკი)-„ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — 1:1.

მეოთხე ზონა. „ავტომობილისტი“ (თერმეზი)-„კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — 0:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი)-„შინიკი“ (იაროსლავლი) — 1:2, „დინამო“ (მოსკოვი)-„ყაირათი“ (ალმა-ათა) — 2:0.

მეხუთე ზონა. „მაშუკი“ (პიატიგორსკი)-ასკ (ოდესა) — 1:2, „ზვეზდა“ (პერმი)-„თერგი“ (გროზნო) — 2:1, „სპარტაკი“ (მოსკოვი)-„ნეფთჩი“ (ბაქო) — 1:0.

მეექვსე ზონა. „გურია“ (ლანჩხუთი)-„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — 1:1, „სპარტაკი“ (ნალჩიკი)-„ყუბანი“ (კრასნოდარი) — 1:1, ცსკა-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 1:0.

მეშვიდე ზონა. „კოლოსი“ (ნიკოპოლი)-„კარპატი“ (ლვოვი) — 1:2, „ჩერნომორეცი“ (ოდესა)-„ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — 0:0, „არარატი“ (ერევანი)-„სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — 2:0.

მერვე ზონა. „შახტიორი“ (ყარაგანდა)-„კუზბასი“ (კემეროვო) — 1:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი)-„ფაკელი“ (ვორონეჟი) — 2:0, „ტორპედო“ (მოსკოვი)-„კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — 0:0.

ორი ტურის შემდეგ პირველ ზონაში ქულათა მაქსიმუმი (4-4) აქვთ თბილისის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“, მერვე ზონაში კი ლიდერებმა — მოსკოვის „ტორპედომ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ 3-3 ქულა დააგროვეს. **როგორც ცნობილია, პირველ და მერვე ზონებში გამარჯვებულებს მოუწევთ თასის გათამაშების მეოთხედფინალში ერთმანეთთან შეხვედრა.** ახლა სხვა ზონების შესახებაც: **მეოთხე და მეხუთე ზონებში გამარჯვებულები მეოთხედფინალში ერთმანეთთან ითამაშებენ.** მეოთხეში 4 ქულით ლიდერობს იაროსლავლის „შინიკი“ (მოსკოვის „დინამომ“ ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი გამართა). მეხუთეში დაწინაურებულ მოსკოვის „სპარტაკსაც“ 4 ქულა აქვს. **კიდევ ერთ მეოთხედფინალურ წყვილს შექმნიან მეორე და მეექვსე ზონებში გამარჯვებულები.** მეორეში ლიდერია კიევის „დინამო“ (4 ქულა), მეექვსეში — ცსკა (4). **ბოლო მეოთხედფინალურ წყვილს შეადგენენ მესამე და მეშვიდე ზონებში გამარჯვებულები.** მესამე ზონაში ქულათა მაქსიმუმით (4) ლიდერობს დუშანბეს „პამირი“ (3-3 ქულა აქვთ დონეცკის „შახტიორს“ და ტაშკენტის „ფახთაქორს“). მეშვიდე ზონაში ერევნის „არარატს“ და ლვოვის „კარპატს“ 4-4 ქულა აქვთ (ოდესის „ჩერნომორეცმა“ 3 ქულა დააგროვა).

ჭადრაკი

მაიას ჩემპიონური თამაში

ბელგრადი, 4 მარტი. (საქ-დესი). მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ, რომელიც ბელგრადში ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის აღსანიშნავ ტრადიციულ ტურნირში გამოდის, პირველ ტურში დამარცხა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოჭადრაკე გიზელა ფიშდიკი.

მაია ჩიბურდანიძე, ხაზს უსვამს ბელგრადის „პოლიტიკა“, აქტიურად თამაშობდა პარტიის დაწყებიდანვე, იოლად პოულობდა უძლიერეს სვლებს და ჩინებულად იყენებდა უპირატესობას. საბჭოთა მოჭადრაკემ მართლაც ჩემპიონურად ითამაშა და მეტოქეს უკვე 22-ე სვლაზე დააყრევინა ფარ-ხმალი, აღნიშნავს „სპორტი“.

ტურნირის მეორე საბჭოთა მონაწილემ ნანა ალექსანდრიამ იუგოსლავ ჰენრიეტა კონარკოვსკა-სოკოლოვთან დიდი უპირატესობით გადადო პარტია.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

5 მარტი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ბიოლოგია, 18.05 — „ჩუმლაყელები მსჯელობენ“ (კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაზე), 18.25 — კონცერტი, 19.00 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“. II სერია (ფ.), 21.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.35 — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ყრილობის შესახვედრად (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — რუსთაველის პრემიის ლაურეატი, მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“, III სერია (ფ.).

მეორე პროგრამით

18.00 — მოსწავლეთათვის— საქართველოს ისტორია (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — კინონარკვევი, 19.10 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.40 — მხატვრული ფილმი „ბერგამოელი ტრუფალდინო“. I სერია (ფ.), 20.45— საესტრადო კონცერტი, 21.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ასეთი განსხვავებული ხასიათები“.

რადიო

6 მარტი

პირველი პროგრამით

06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ს. ცინცაძე. ბალეტი „დემონი“. ნაწყვეტები, 11.10 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 — ნიაზი. ორი საორკესტრო სიუიტა, 11.45 — „გავაძლიეროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტემპი“, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — მ. ქელივიძის ლექსები, 12.30 — პოპულარული კამერულ-ინსტრუმენტული პიესები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ბულგარული სიმღერები, 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება“, 19.00 — სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში: ქუთაისის „ტორპედო“ — სვერდლოვსკის „ურალმაში“ რეპორტაჟი რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონიდან, 19.15 — სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში: თბილისის „დინამო“ — როსტოვის ასკ. რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — რადიოსადგური „სიჭაბუკე“, 22.00 — კონცერტი. ბ. კვერნაძის ნაწარმოებები, 23.30 — საოპერეტო მუსიკა.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონები:
380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 02057 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.